

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 63

2020



მთ. რედაქტორი

**ობარ ცხვარაშვი**

ფილოსოფოსი, საქართველოს  
მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა  
საერთაშორისო აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს  
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-870-0 (63 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეულების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აკტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე უსრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აკტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებით და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-  
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-  
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-  
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი  
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის  
დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აკტორი,  
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი  
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი  
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მვი-  
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი  
(შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმეტე მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახვენდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შესგვი ყოველ ძმას, ყოველ ძაბულას.“

ა. პუშკინი

ჭირასიტებაობის მაგიერ

(გაგრძელება)

კითხულობთ ამ სტრიქონებს და რწმუნდებით, რომ ის ჩვენი დღევანდელობის უტყუარი შეფასებაა, ჩვენი ერის დღევანდელი უბედურება და ტრაგედია ბევრ წილად განპირობებულია სწორედ ურთიერთშუდლით, არგატანითა და დაუოკებელი შერით.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მრავალი ლექსია, სიყვარულის იისფერი ეპლებით აცრილი, ხოლო ის განცდა, ამ ლექსებს რომ აერთიანებს, სამოთხის წყაროსაგით ნათელია და აუმღვრეველი და მაინც მგონია მისი პოეზია ღმერთის ფიქრია და ყველა შედევრი მისი მკრთალი გამოძახილი, რომელიც ნაქარგის მეორე მხარეს მოგვაგონებს.

ჭეშმარიტმა მორწმუნებ იცის, რომ ყველაზე დიდი იმედი უფალია, ყველას იცავს მისი კალთის ჩრდილი. პოეტი სევდიანად გასცემის ბრძოლის ველს:



„ისევ გაცემა...

ისევ დალატი...  
გლოვის დღეები ისევ მოვიდა.  
კრწანისის მწარე ცრემლთან  
მიხვედი!

ადგ,

პოეტო!

და დიდგორიძან —  
დიდი დავითის ბრძოლის ველზე გადაიხვდე!

და მაინც, სჯერა რომ ყოველი ქართველის სახლის ჭიშკრიდან სოხუმამდე განვლილი მანძილი უკვდავებით არის დაფარული. ვინც მამულისთვის გულით დაეცა და მსხვერპლად შეეწირა უკვდავია, ასეთია რწმენა პოეტისა, რომელსაც სწამს და სჯერა, რომ გაქრება ომის დრუბლები და დადგება დრო, როცა აფხაზეთი ორივეს, აფხაზისა და ქართველის დედა—სამშობლო იქნება. ადამიანი დმერთმა სიცოცხლისათვის გააჩინა. სიცოცხლეს სიმშვიდე სჭირდება და იცის, საერთოდ მოსიყვარულე გული საამქაფნო ხედვაა, საკუთარ თავს ვერსად გაექცევა, გვახსოვდეს უფლის შენონებაც: „მიუტევე, მამაო, რამეთუ არ უწყინ რასა იქმან“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, მისი ლექსების იმ ციკლში, აფხაზეთს რომ ეძღვნება, იმ ცალკეულ სტროფებსა თუ ბწყარებში საქართველოს ტერიტო-



რიული მთლიანობისთვის ბრძოლის იდეას რომ ეხ-  
მაურება, ან აგვიწერს უშუალოდ აფხაზეთში დატ-  
რიალებულ ტრაგედიას ისევ და ისევ ის მხატვრული  
საშუალებები, ის სიტყვები ან ცნებები ქმნიან, ნა-  
თელ მომავალზე, სიცოცხლეზე რომ არიან მიმარ-  
თული. ოპტიმისტის ტრიუმფალური ხმა თაობათა  
გასაგონად ისმის:

„საქართველოს ცაა შავი,  
ავის მაცნე დღეს დღე მისდევს  
მიდის არრას იბარებს,  
ყოველივეს ხედავს ქრისტე  
მალე გამოიდარებს!“.

## დამისა და სიზგარულის გარიაციები

„მწამს, რომ არს ენა რამ  
საიდუმლო  
უასაკოთ და უსუ-  
ლოთ შორის!“.

(ნ.ბარათაშვილი)

„ვაჟა ეგრისელი, თავისი ყველსაგან გამორჩეუ-  
ლი საკუთარი ხელწერით, ორიგინალური ხმით, მოვ-  
ლენათა ხედვის მასშტაბურობით და იდუმალი ხილ-



ვების „უნარით, უკანასკნელი პერიოდის ქართულ პოეზიაში თავისებურ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული“.

(შ.ლომსაძე, პოეტი,პროფესორი)

ვაჟა ეგრისელისათვის უმთავრესია კაცომოყვარეობა, ზნეობის კულტი და ცოდვასთან, უზნეობასთან უკომპრომისო ბრძოლა. პოეტი თავის ლექსებში იმარჯვებს დროზე, კინაიდან მის მაღალსა და სუფთა, თავანკარა პოეტურ სტრიქონებში ჩვენი საფიქრალი და საზრუნავია გაცხადებული, ადამიანის დიადი იდეა და მიზნებია გამოხატული...

და მაინც, „დრო გავა და ბევრ საიდუმლოს ფარდა აეხდება, მაგრამ მარად დარჩება იდუმალება იმ დიდი სამყაროსი, იდუმალობა ყოვლად ნაცნობი და მიმზიდველი სიყვარულისა“. (რ.სირაძე).

„არის !ამი დუმილისა და უამი მეტყველებისა“  
— ამბობდა ეკლესიასტე

„ვინც ლაპარაკობს არაა ბრძენი, ბრძენი ხომ დუმს“ (ლაო-ძი)

„აწ სულელნი სიბრძნითმეტყველობენ და ბრძენთა აღირჩიეს დუმილიო,“ — (გ. მერჩულე).

„არის დიდი სიძულვილის დუმილი დიდი სიყვარულისა და სულიერი სიმშვიდის დუმილი. არის დუმილი სულიერი შეჭირვებისა, რომლისაგანაც მოგვრილი ტანჯვის წიაღი თქვენი გონება — გამოუთ-



ქმედს რაკი მისწვდება — უმაღლეს ცხოვრებას ეზიარება“. („ედგარ ლი მასტერლის, თჩხენკელის თარგმანი).

ვაჟა ეგრისელის მხატვრულ სამყაროში რეალობის ბევრი საგანი, ბევრი მოვლენა და თვისება გვხიბლავს ორიგინალობით. არა ერთი ლექსი განასახიერებს ფერწერულ ტილოს. არავინ არ გრძნობს ეგრისელისებურად, არავინ არ ხედავს როგორც იგი. მისი პოეტური სტრიქონი უნიკალურია, მხოლოდ მისეული. აი თუნდაც:

ლოცვებით სავსე ზესთთა სამყაროს  
მეტეორებით წითლად გახლებილს,  
ღვთიური ცეცხლი ცვივა მუჭიდან.  
ზის დედამიწა და დიდი დამის სრა სასახლეში  
და  
ცალი თვალი ცისკენ უჭირავს!

ამ ლექსიდან უსასრულო, მაცდუნებელი ფერი იღვრება. აქ პოეტის მიერ სიცოცხლის სიხარულის გადმოცემაა, ლოცვებით სავსე ზესთთა სამყაროდან მეტეორებით წითლად გახლებილი ღვთიური ცეცხლის ცვენა დედამიწაზე ჩემი აზრით, გაცილებით უფრო ეფექტური და მოულოდნელია, ვიდრე მზის ამოსვლა.

ჩემი ღრმა რწმენით მეტად რთულია და იდუმალი ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყაროს, მასში



დატრიალებულიფიქრებისა და აზრების, განცდა-  
გრძნობების, ზუსტი მეცნიერული ანალიზი და წა-  
კითხვა; აქაა აბსოლუტური სრულყოფილობით ად-  
ბეჭდილი ის სულიერი ღირებულებები, რომლებიც  
საცარი ძალით გვნუსხავენ და გვიხმობენ ამოსაცნო-  
ბად.

ვაჟა ეგრისელის განმაცვიფრებელი და შთამბეჭ-  
დავი პოეტური სამყარო კოლოსალური ძალისხმევით  
ამზეურებს ჩვენი ეპოქის დირებულებებსა და ფასეუ-  
ლობებს, უნივერსალური სიყვარულის ძლევამოსილ  
ხაზზეა პროვოცირებული მისი შინაგანი სულიერი  
სამყაროს ფილოსოფიური იმპულსები.

და უნებურად მეჩვენება აქ, დედამიწაზე სევდი-  
სა და ბურუსით მოცულ საუფლოში, სადაც ცხოვ-  
რება თავისი ორომტრიალით თრთის და ცახცახებს,  
იქ კი, იმ თვალშეუდგამ სივრცეში სიხარული და ნე-  
ტარებაა, რამეთუ

ცა – ტაძარია,

გარსპოლავები შენი მრევლია,  
მზე დმერთია და მუხლმოყრილმა  
უნდა ილოცო.

ათასწლეულებს გადაეფსკვნები...

რადგანაც მოდგმა ხარ ჰელიოსის,  
და სამეფოდ შენ გაქვს ზესკნელი.



როცა ვაჟა ეგრისელზე ვსაუბრობ უნებურად  
მარინა ცვეტავვა გამახსენდა: „პოეტები იყოფიან  
განვითარებად პოეტებად და პოეტებად განვითარე-  
ბის გარეშე, ისტორიის პოეტებად და უისტორიო პო-  
ეტებად.

პირველნი გრაფიკულად წარმოიდგინებიან  
უსასრულობაში გაჭრილი ისრის სახით, მეორენი  
წრის სახით, პირველებზე (ისარი) მოქმედებს თვით-  
გახსნის წინსვლითი კანონი, ისინი მათ გზის წინაშე  
გამოკვეთილი ყოველგვარი მოვლენის წინაშე იხსნე-  
ბიან, ყოველნი ახალ განჯასა და ყოველი ახალი  
შეხვედრის !ამს.

ჩემი — სხვისი, — არსებითი — ზედმეტი, შემ-  
თხვევით — მარადიული მისთვის — ყველაფერი  
საცდელი ქვაა, საცდელი ქვაა მათი ძალისა, რომე-  
ლიც კიდევ უფრო მძაფრდება, როცა დაბრკოლება  
ელობება, მათი თვითგახსნა არის თვითშემუცნება  
სამყაროს საშუალებით, სულის თვითგაგება ხილუ-  
ლი სამყაროს გზით. მათი გზა არის ცდისეული გზა,  
როცა ისინი იძვრიან, ჩვენ ფიზიკურად ვგრძნობთ  
მათ მიერ გაცვეთილი ჰაერის შეტოკებას, მათგან  
უბერავს ქარი. პოეტები ისტორიით (ისევე როგორც  
ადამიანები ისტორიის, როგორც თავად ისტორია)  
არც კი უარობენ საკუთარ თავს, ისინი უბრალოდ  
არც კი იმზირებიან საკუთარ თავისკენ, დრო არა



აქვთ მხოლოდ წინ! ასეთია მოძრაობისა და განსჭვალულობის კანონი.

პოეტები ისტორიით უწინარეს ყოვლისა არიან თემის პოეტები“.

ამ კლასიფიკაციის ფონზე კი ვაჟა ეგრისელი აშაკარად ისტორიით და თემითაც მკვეთრად გამოხატული პოეტია.

პოეტი მიისწრაფვის სულიერი ცხოვრების იმ მომენტების წვდომისა და ამომზეურებისკენ, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ ბუნების მოვლენების თვითჩაღრმავების პროცესთან. ვაჟა ეგრისელი ქმნის დადუმებული კაცის პოეტურ მითს და მაიც მზის ჭიშკართან, მთვარის ბუხართან განმარტრებას მოაქვს რადაც საოცარი სულიერი ექსტაზი და შინაგანი ნათება.

დიახ, ვაჟა ეგრისელი მკაფიოდ გამორჩეული მხატვრული ინდივიდუალობის მქონე შემოქმედია, რომელმაც ახალი ფერებით გაამდიდრა ქართული ლირიკის მხატვრული სამყარო, საოცარი და უჩვეულო, ჯერ არნახული და არ გაგონილი პოეტური სახის როლი და სტრუქტურა და მისი ემოციური ზემოქმედება ხშირად მასზეა დაფუძნებული. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ორიგინალურ მიგნებულ ორაზროვან პოეტურ სახეებში იგრძნობა ფანტაზიის საოცარი მხრებგაშლილობა და ემოციური მუხტი:



„დგას გაზაფხული და აპრილის ტოტებზე —  
კვირტებს აფეთქებს  
ნაღმივით  
და კვამლში ბოლაგს ცის ერთი მეცხრედი.  
დამე კი დილამდე —  
მზის ბუხარს ადგივებს —  
ვარსკვლავთა ნაკვერჩლებით“.

და თუ მზე პოეტისათვის ჯადოსნური და განუ-  
მეორებელი ნიშნების მქონეა, დაღამება, სიბნელე,  
წყვდიადი ფიქრები აშფოთებს:

„ცეცხლს ცრიდა ცა,  
მზის საცერით,  
მერე უცებ,  
როს დაღამდა,  
ატყდა ქარის რია-რია.  
გამოექცა ზღვას ტალღა და  
ნაპირს თავი მიამსხვრია“.

ან კიდევ:

„ცის სიჩუმეში,  
ზღვა როდესაც  
ხელებს შემართავს,  
ქარი მაშინვე აფრებს აუშვებს  
ქვიშით და კირით.



გამოენისას

ცის ვეება

მღვრიე აუზში,

დამე კვლავ დაერის ვარსკვლავთა

ქვირითს“.

პოეტის სამყაროში ძალუმად შემოგვანათებს გარესამყაროს ჭვრებითა და აღტაცებით, გაოცებითა და შეფრენებით შობილი სრულყოფილი სურათები და მაინც ყველაფერი მის შემოქმედებაში მზესთან და ცისარტყელასთან, დილის ცისკართან დაპირისპირებული სივრცეა დამე, წყვდიადი, უდაბნო, ზღვა, ხმელეთი. „ცა თავს გვაწონებს ვარსკვლავების ოქროს ბეჭდებით, გაპროება ელვა და იღუმალი ისმის ჩურჩული; სად სარ, უფალო შენ შემოგტირის ცისქვეშეთში დამე მდუმარი, ყოფნა – არყოფნა, გზა – უგზო და კვალი უკვალო.

საოცარი სურათია:

„გახედა თავის სამწყსოს ზვიადად  
მზემ და ცის ოქროს სავარძელში  
დაჯდა მახვშივით.

და მერე გვიან,

სახე ცეცხლმა როს

დაუღვარა,

დღე გადაწვა და დაანახშირა,

გადააქცია დამის უღრანად.“



და მაინც, ვაჟა ეგრისელი ღმერთისგან ხელდას-მული, ცის დანიშნული, საოცარი მისნური წინას-წარმეტყველების უნარით მომადლებული ბრძენი პო-ეტია, რომელიც ახლებური მხატვრული საშუალებებით ცდილობს ახსნას სიკვდილ-სიცოცხლის საი-დუმლობა. ვაჟა ეგრისელს მარად უთვალთვალებს წინაპართა სულები, ეს კი წარუვალი და მარადქარ-თული ღირებულებები და ფასეულობებია, რომელთა გამონაშუქი საუკუნეებს გადაანათებს.

„მწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთ და უსულოთ შორის!“ — ბრძანებდა ბარათაშვილი.

ნ.ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ“ არის მოგონება, ნოსტალგია, ხსოვნა იმ წუთებისა, როდესაც სული მდუმარებაში ეწაფება „ზენაართ სამყოფო“.

ნ.ბარათაშვილის ამ ლექსთან დაკავშირებით მართებულად ბრძანებს დიდი კრიტიკოსი და მეცნიე-რი გიორგი გაჩეჩილაძე:

„ნ.ბარათაშვილმა, ისევე როგორც შექსპირის პამლეტმა იცის, რომ ირაციონალური, ემპირიულო-ბის მიღმა არსებობს სფერო დაფარული და მიუ-წვდომელი ჩვეულებრივი თვალურისათვის. ამიტო-მაც გაისმის კაეშანიანი სიტყვები: ...მაგრამ ვერ სცნობენ გლას მოკვდავნი განგებას ციურს.“

ამიტომ დაადგა მაგიის გზას ფაუსტიც, იმავ ტკივილს გამოხატავდა პამლეტი, როცა იგრძნო, რომ



ამ საიდუმლოებს „ბუნების გლახაკთა... ჰკუა ვერ მისწვდომია“. აკი იგივე გაუმეორა აჩრდილმა, რომ მას „სისხლხორცით ქმნილნი ყურნი ვერ მიხვდებიან“.

მაგრამ ის, ვინც ერთხელ უკვე შედგა არსებობის ამ საიდუმლოთა წვდომის გზაზე, ვისი შინაგანი მზერაც მთლიანად მოინუსხა მის საჭვრეტად, იცის რომ:

არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთ და უსულოთა შორის

და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის!

ეს არის დუმილის ენა, „მეტყველი უმეტყველობა“.

ენა, რომელიც გონის გაცილებით დრმა შრებს უკავშირდება, ვიდრე მჭევრმეტყველების მთელი ფეირვერკი“.

ვაჟა ეგრისელთან ნათლად ჩანს იდუმალების ქსოვტიკა.

ვაჟა ეგრისელის ლექსი „ზღვა ბორგავს“ — ერთ-ერთი უმთავრესი ლექსია „კოლხერი ფსალმუნების“ კიდობანში, რომელიც არნახულ სილამაზეს ასხივებს. სათაურშივე ჩაღვრილა — იდუმალება, „მეტყველი უმეტყველება“;



„ზღვა ბორგავს და კივის ქარი  
და აწუხებს ცას ეჭვები:  
რომ შელოცვით ახალ მთვარის  
არ ურჩება ლამაზ ლამეს  
გარსკვლავების მეჭეჭები“.

პოეტი სიტყვასთან ჭიდილში მრავალჯერ კვდება და მრავალჯერ ცოცხლდება, გულის სისხლის საფასურად. დგომებრივი სულის მადლით ბრწყინვას მისი უიდუმალესი ოცნება. პოეტის მიზანია შექმნას ახალი ესთეტიკური კულტურა, რომელიც საკაცობრიო იდეალების გადარჩენისათვის იძრძოლებს. ალბათ ამიტომაც:

„ვერ გაწყვეტ,  
ხარ მიჯაჭვული  
პოეზიას,  
ვით პრომეთე,  
მზის უროს სცემ დღეთა პალოს!  
შიშის ქარი უდგათ ლმერთებს  
ვაჲ,  
მათ მუსრი თუ გაავლო“.

და მაინც იგია სწორედ თავისთვის არაფრის მომთხოვნი, კლდესავით ამტანი და ზღვასავით მოდგაწე, სილამაზისა და მშვენიერების მოთაყვანე, ფიქრზე ფიქრი მისი სტიქიაა. ვაჲა ეგრისელის ლექსი



ყველაფრისადმი რიდით განგვაწყობს, პოეტი დამეზე  
როცა წერს, ამით იდუმალების ესთეტიკაზეც მიგვ-  
ანიშნებს, მისი ფანგაზის თვალსაწიერში დამეჯი  
ტრიალებენ და საოცარი მეტაფორებით გადმოგ-  
ვცემს ბუნების სიდიადეს; „მას ზოგჯერ მზის ვეება  
თაიგულით აცილებენ დღეები, ზღვიდან თვალს უკ-  
რავს ერთი მნათობი, თვალმარგალიტით აღსავსეა  
დამის სასახლე, რომელსაც მთვარის დიდი ბოქლომი  
ადევს“.

ვაჟა ეგრისელი მხატვრული სიტყვის უმაღლესი  
მისიას, ერის, რწმენის, სულიერების მსახურებისა და  
უზენაესი სიმართლის ერთგულებაში ხედავს. მის-  
თვის მზის გარდაცვალება ბედისწერაა, უმზეო დღე  
სიცოცხლის დასახრულია:

„ცის შვილები —  
ეს თეთრი დრუბლები  
მზე რომ მიიცვლება  
შავებს რომ იცვამენ  
და დასახრჩობად ზღვაში რომ ჩადიან!  
მაგრამ ო, არა,  
ცის სულს ფიცავენ,  
იქ იშვნენ,  
სიკვდილიც ზეცაში  
ხწადიათ“.



ბევრი რამ არის მიუწვდომელი, მიმზიდველი და  
დამაფიქრებელი ვაჟა ეგრისელის პიროვნებასა და  
პოეზიაში. ალბათ, ტომები არ კეოფა მისი პოეზიის  
მეცნიერულ ანალიზს, მე კი ღრმად მწამს, რომ მისი  
პოეზია სულიწმიდის მადლით მოსილი სიბრძნის  
ზღვაა, იდუმალებით საგსე, მისი გზა ლეგანდებითა  
და თქმულებებით დახუნდლული კოლხეთიდან შორ  
პლანეტას გასცემის და თავის არჩეულ გზას თა-  
ვად მიიკვლევს.

სამიათას წლის სიბობოქრეში —  
ჩემი ოცნების გავშლი — იალქნებს.  
ქართული სიტყვის ფიქრთა მკმეველი.  
თუმც სულს მარადის მიფორიაქებს:  
იდუმალების  
იდუმალობა,  
გაურკვევლობა — გაურკვეველის.

ვაჟა ეგრისელის ლექსი გვხიბლავს მიგნებითა  
და აღმოჩენის სიხარულით და აღმაფრენით, მოუ-  
ლონელობის ეფექტით. პოეტი გვაოცებს მკვეთრი  
ორიგინალობით აღტეჭდილი პოეტური სახეებით, რო-  
მელთა ინდივიდუალურ ბუნებას, გონებამახვილური  
შინაგანი ასოციაცური მიგნებები განაპირობებენ. აი  
თუნდაც,



წუთები სადღაც მიიჩქარიან,  
!ამთა დინებას ვერავინ ვერ ცვლის,  
ვერც კაცთა მოდგმა,  
და ვეღარცა ცათა ძალები.  
მზე ოქროს ჭიშკარია,  
მთვარე კი გერცხლის,  
რომელიც იღება დღე-დამის ბრძანებით.

და ასე მკვეთრად იკვეთება ვაჟა ეგრისელის პო-  
ატური სტიქის დამახასიათებელი ნიშანთვისებები —  
— სისხარტე, სილადე და ბუნებრიობა, მის პოეზია-  
ში საოცარი ძალით შეერწყა ერთმანეთს პიროვნების  
ინტიმური განცდები და ფართო საზოგადოებრივ-მო-  
ქალაქეობრივი ინტერესები. ინტიმურისა და ზოგად-  
საკაცობრიო საფიქრალის შერწყმის თვალსაზრისით  
მისი ლირიკა ქართული მწერლობის ერთ-ერთი გა-  
მორჩეული მაგალითია. მის ლექსებში უიდუმალესი  
და უდიდებულესი რითმებით მიიწვდომება დიადი  
აზრი, აზრი ცეცხლოვანი და მომნუსხველი.

„ვაჟა ეგრისელის პოეზიის უსამანო სივრცეში  
რომ მოხვდე, ისე გაგიტაცებს, კითარც ამურს ქერუ-  
ბიმები, ზეცაში მოკიაფე ვარსკვლავთა შორის, მისი  
პოეზია ღვთაებრივია, ხოლო შთაგონების უძირო  
ზღვიდან ამოღებული სტრიქონები ასე გგონია, ფე-  
რწერული ტილოებია, რომლებიც შენს გვერდით  
იხატებოდა და შენ არ იცოდი...



პოეტის ფიქრები მნათობებივით მიეღლტვიან ზე-  
სამყაროს და არ გრძნობენ სიმაღლის შიშხს. და  
დაფრინავს უსაზღვროებაში ვაჟა ეგრისელის მზით  
მოსილი პოეზიის, სულის სიღრმეებიდან ამოშადრევ-  
ნებული, ფიქრმიუწვდომელი შთაგონება და სიყვარუ-  
ლი. მუზა დიდებისა. უბერებელი და ადრე დაბადე-  
ბული, მესამე ათასწლეულის პოეზია“.

### ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვები წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



## ცეცხლი

სცივათ...

და ბუხარს მიჰყიცხებიან

შორით მოსულნი

თქმულებები

და ლეგენდები.

გარეთ ზამთარი სიმყუდროვეს

ლამბავს და ლამბავს

და მთებს უმზადებს უთეთრეს

გვირგვინს.

შეშა კი ტირის...

ცეცხლი პყვება

გარდასულ ამბავს,

როგორ მოსტაცა უვიც დმერთებს

პრომეთემ იგი.

1996

\* \* \*

ეფარებოდნენ ხავსიან ლოდებს  
და ომობანას

თამაშობდნენ

ციცქნა ბაგშვები.

დუმდა სიკვდილი...

დამშრალიყო ცრემლის აუზი.

და მზე შუადღის ტოტს ეკიდა,

როგორც ნახატი.

გულ-ხელდაკრეფილ

და მოწყენილ

სასაფლაოზე

პყვაოდა პეპლის უცხო ფარფატი.

1987



\* \* \*

როცა ჩემი მზეც მიიღოკება,  
დღე შედგება და  
ჟამი უღმერთო,  
მოკვდავი რომ ვარ, კიდევ ერთხელ  
კვლავ მომაგონებს,  
მე არ მოვითხოვ სანთელ-საკმელს და  
ზიარებას.  
წამოვიწევი და გავხედავ  
ქართლის მთა-გორებს  
და... მე სიკვდილი დამეზარება.

1963



\* \* \*

ჩემი დღეები და იმედები  
ჩემმა სიცოცხლეზ  
ქართლის ცაზე  
დროშად გაჰკიდა.  
ყოველი წამი გაოცება  
და შეკრთომაა.  
და ჩემი ქვეყნის  
განათებულს  
ვხედავ მომავალს,  
ჩემი სამშობლოს  
ღია სარგმლიდან.

1974



## დეკომპის ღამე

გავცემი სიგრცეს...

და ჩემი ფიქრი

დაღლილ წუხილად ეპარება

შორეულ მნათობს,

რადგან სიშორის დიდ ჯვარზე ეცვა,

და სიმყუდროვეს ათოვს

და ათოვს...

ღამის შავ ქვაბში

ძველ რძესავით აჭრილა ზეცა.

1967



## მწვხერის ფრინველი

გარსპოვლავების და სიჩუმის მიღმა

მოსჩანდა ცისკრის

თეორი ნაპირი –

ადიდებული მიღიონი მამლის

ყივილით.

და მწუხერის ფერი, მთვარეული

ხმის მომფინველი,

დამით დაბურულ – პარას ჭალაში –

ცისკარს ეძახდა მწუხერის ფრინველი.

1961



## გუდის ანთეპენ

ახლა ყვავები  
ხის ტოტებზე  
ბუდეს ანთებენ –  
ცის დამწუხერებით, დამუნჯებულ  
ტყის გახარებით,  
ცოტა ხნის მერე,  
ბუდეებში ჩადგება კვამლი –  
ბახალების.

1968



## სიმღერები

ფრინველთ მეფის – “სიმღერების”  
პოვნის იმედს ატარებ,  
ვით პოეტი ატარი.  
თუმცა მისი მხილველი,  
არ ყოფილა სულდგმული!  
მხოლოდ ისლა იციან,  
რომ მას დარჩა  
ფერადი –  
ერთი დერი ბუმბული.

1973



## უცხოები

ვინც თქვა: ციდან ვართ მოსული,  
მას წინაპარი ვუცხონე...  
და მსურს სამყაროს

ვაუწყო:

დედამიწაზე ვართ უცხო!!!

“პურთხეულ იყვნენ უცხონი”.

/შტეფან ვაიდნერი/

1961



## მარტინიები

როცა სასაფლაოზე მწუხერი ჩამოდგება და,  
წასვლის ზარი დარეკავს!  
წამსვე მარწკინიები\*  
ხსოვნის ფარნებს ანთებენ...  
მერე მიცვალებულთა სულებს  
სამოთხისაკენ –  
წკვარამ გზას უნათებენ...

2017

---

\* მარწკინიები (მეგრ.) – ციცინათელები



ხილვა: აღა-მაჟმად-ხანი /1795 წ/

ურჯულონი თბილისის –

აღსავლის კარს აღებენ!!!

/ომი დაუსაბამო.../

და ვჭვრეტ: აღა-მაჟმად ხანს,

ხმალშემართულს კრწანისთან!

გმირთა სისხლით ირწყვება

ორთაჭალის ბაღები და...

გოგირდის აბანო...

1965



## ორივე

ყოფნაც და არყოფნაც,  
ორივე სასჯელია!

ორივეს სუნი სდის  
და მოიშმორებს –  
ვით უბნობს ხან საფო,  
ხან აკია.  
ორივე ზედმეტი ხაბაკია,  
ჯობია,  
რაც ადრე მოიშორებ.

2018



\* \* \*

ეს კოლხური სანახები,  
ახლა თითქოს და მუნჯია,  
მაგრამ...  
ერთად დამიტირებს  
ხმამაღლა და მოწყვალედ:  
სპია,  
წყაბუ და მუნჩია,  
წინწყარი და ხობწყარი.

2018



## დისტიქტი

ანუ

## ორი ლექსი გალაპტიონს

“აქ ჩემს ახლოს აკაკის ლანდს,  
ძინავს მეფურ ძილით”.

გალაპტიონი

I

მოჯარდებიან ლანდები –

ძველებიცა და ახლები...

დაირეკება სხვა ზარი!

“სადაც შენ დაიმარხები”,

ამაღლდება ის ტაძარი.



II

“რომ მეფე ვარ და პოეტი...”

გალაპტიონი

ლეგენდიდან გადმოსული,  
ვით პოეტთა ფარაონი,  
დედად თვლიდი შენც  
ისიდას\*.

და... თავი რომ მოიკვდინე!!!  
ხომ მოკვდებოდი ისედაც?!

1959

---

\* ისიდა (ბერძ. ეგვიპ.) – ყველა ფარაონის დეთაქტრივი  
შშობელი



## იმპდა

წუხელის დამეს ელვის თითები  
 თვალობან ვერა და  
 ვედარ მიჰქონდა,  
 ტყის სიჩუმეში მგლების ლანდებს  
 რქენდა იმედა.  
 და მერე გვიან, სადღაც დასავლით,  
 ბნელით დახურულ  
 დამის მღვიმედან –  
 სხივთა წიგწივით გამოცოცდა  
 ერთი ვარსკვლავი.

1968



\* \* \*

ქარის მსუბუქ ფრთხებს გადაჰყვება  
დამის ზმანება,  
ფიქრთა ბურუსი –  
მოქროვილ სივრცეს  
შებინდავს.  
ფერმკრთალი დილა, მზის გარდისფერ  
ყელს  
მოიდერებს,  
მერე აღსავლით გადმოდგება  
მაღალ მთებიდან  
და დიდ სინათლეს ამოიმლერებს.

1971



## განთიადი

ცეცხლში შთაინოქა  
ღამის ტაძარი,  
მაგრამ ღრუბლებმა  
ცის თაღები  
მაღლა აღმართეს  
და სივრცის ძახილს  
ელვა უწოდეს.  
ნაპირს მომდგარი ზღვა ლოცულობს  
და მზეს აღმერთებს  
და მსხვერპლად სწირავს  
ზვირთებს –  
უცოდველს.

1969



## რომ არ ჩათვლიმოს

მგოხნის ფიქრივით –  
აღარ ისვენებ,  
შენ, ქარიშხალის სულო,  
გრძნეულო.  
ცის ვარსკვლავებო,  
ბავშვობაში ბევრჯერ დათვლილო. –  
ზღვას სურს, წამით რომ  
ოვალი მიღულოს,  
მაგრამ თოლია ფრთას გაჰკრავს კვლავ,  
რომ არ ჩათვლიმოს.

1968



\* \* \*

შენი სიცოცხლის სანაპიროზე  
არდაბერების პყვავის

სოსნები,

ზღვა და ღელვაა მარადისი შენი  
მხლებელი.

თუმც წახდა ქამი...

მაგრამ მაინც

პატიოსნება –

შენს სულში კვლავ დევს  
ხელუხლებელი.

1964



## არ გაგახსნებ

წუხდა დაჭრილი სიყვარული –  
შავი ავაზა,  
შხამსა და ღვარცოფს ანთხევდა შური.  
ცნობისწადილი  
ცხვირით ჰგავდა  
თვით ბურატინოს.  
რაც იყო,  
იყო...  
მე არაფერს არ გაგახსენებ,  
ნაიარევი სული უცებ  
რომ არ გატკინო.

1980

ସୂଚନାତରିକା

## კონკრეტული მდგრადი გადაწყვეტილებები

## ბრწყინვაგს დამის

კერი

## და მთვარის მიღმა

მირიადი წელი მიშხუის.

## გალღები ნაპირს

## სიმყუდროვის სამოსს

აცტეკებ.

არავინ არ ჩანს, იყოს ლეპი,

თუნდ იყოს ღლიღვი,

ეს სულ ერთია...

## მხოლოდ ახლა ხმის გამცემი

მე წამლად მიღირს.

1964

\* \* \*

აქ, ამ ყურესთან –

მოისმოდა ტყის სიმფონია

და აკვანივით ირწეოდა

მუხის ნაფოტი

და ხომალდივით ნაპირისკენ

მოისწრაფოდა,

“ხორცი არს ჩემი” –

აქ, ამ ყურესთან –

ტყის ხმა ისმოდა იმ ნაფოტიდან...

და დამწუხერებულ ზღვას დაყურებდა

ფერმკრთალი მთვარე, ვით აფროდიტა.

1989



## ძორზოლი

I

ცეკვავს ქორწილი  
და მღერიან კვლავ გიტარები,  
სარკესთან დგას და თავს იწონებს  
ჩუმად მზითევი...  
ათას სიხარულს, ათას სევდას დაატარებენ, –  
ფერმპროტალ დედოფლის  
თეთრი თითები.

II

იძინებს ლამე,  
ძილი მაინც სიფხიზლეს ეძებს,  
თრთის და კანკალებს სიმყუდროვის  
ლურჯი კარავი  
და სიმყუდროვი თეთრ სარეცელზე  
წევს და... წევს თოვლი გაუკვალავი.

1967



\* \* \*

სიცოცხლე –

სადგური ლამაზი, აღსავსე იმედით,

მზითა და ლოდინით...

აღსავსე ცრემლებით, შიშით და

ზარებით...

აქა-იქ ძეგლები,

ჯვრები და ლოდები –

ჟამისგან უღმერთოდ

წაშლილი გვარები.

სიცოცხლე –

სადგური ლამაზი.

1957



## და მა მომხსმა...

მიუსაფრობას და ზღვის დუმილს  
გადავუფრინეთ,  
დამე ჩვენს რწმენას  
დიდხანს ანჯლრევდა;  
გურიის მთებში გაკრთა ელვა,  
ვითარც ფიჩორი,  
და მე მომესმა  
სიმარტოვის  
დია ფანჯრებთან  
ფრთების ფათქუნი შენი სიშორის.

1972



\* \* \*

იმედის ქოხში ვზივარ  
ეული,  
დარდის და სევდის  
მმოსაფს თალხები  
და შენს ლოდინში დღე და დამე  
ისევ იცვლება.  
იჩქარე! –  
თუკი მომეახლები  
და ლერწმის ლერით მომეცისკრები.

1967



\* \* \*

დღეებს ისევ სურთ ჩვენი შეხვედრა  
და სიხარულის ყვავილებით  
ისევ ირთვება,  
თუმც სიყვარულის წლები გავიდა.  
ვეღარ იქნა და...  
მოგონების ლურჯი ზგირთები,  
ვერ ამოვხაპე ხსოვნის ნავიდან.

1982



\* \* \*

თუმცა სიცოცხლე ასე ტქბილია,  
კბილი მომკვეთა წუთისოფლის  
მწარე ნაყოფმა  
და ცა ოცნების,  
ო, რარიგად დაცარიელდა.  
და გიო მოცარტი და სალიერი  
კვლავ დგას პირისპირ –  
ყოფნა-არყოფნა.

1964



## თავდაპირება

დღე ერთია და...

ათჯერ მეწვევა

ჩემი ერთგული თავდავიწყება,

მაშინ ლელვის გზით გარბის სიმშვიდე

და სული,

როგორც სვეტი –

ცხოველი,

რწმენის ნათელზე გასაკრავად ელის იდეალს.

და არვინ უწყის,

რომ დღე ყოველი

ჩემთვის...

ო,

ჩემთვის ბეწვის სიდია!

1961



## შარაიასთან

მოულოდნელად მოკლულ სიყვარულს –

ყარაიასთან

ხარ-ირემი ისევ გაჰყვირის,

ისიც ჩემსავით დამეს ათენებს.

და წუხს მაისი,

ყვავილების მტგერგადაყრილი,

ჰაერს სურნელი უდის გამდნარ

თაფლის სანთელის.

1989



## ციცინათელები

თვალებს ახელს ზეცის თავანი,  
 სველ ღრუბლებს  
     ელვის თოვზე  
         გაფენილს,  
 იდუმალ არხევს შორეული  
     ხმები –  
         ქუხილის  
 და სიბნელეში წყვეტილი და  
     მომწვანო შუქით  
 ითხოვს ნებართვას დაბლა  
     დაფრენის,  
 ციცინათელების ესკადრილია.

1960



## ჩვენი მიზნები

მზით გადახურულ,  
ლაჟვარდოვან ცაზე – ოცნების,  
კვლავ ციმციმებენ ჩემი მიზნები  
და ვით მნათობთა მწვანე ქოხები  
დგანან სინათლის კენტეროებზე  
და კვლავ, სიშორის – სიახლოვით  
გულს იოხებენ.

1962



\* \* \*

საუკუნეთა მდვრიე ქარავანს,  
მზის კომბლით ხელში  
მოუღლელი ჟამი  
მოდენის.  
ვეფხის თვალებში იელვარებს  
ფიქრი –  
რუსთველის...  
ქვაში სიმღერად იგუგუნებს  
სული –  
როდენის...  
მაინც ლოდინი...

1979



## ნუ გააღვიძებთ

ომის რაშების ისმის ჭიხვინი,  
ხელი ვუტაცოთ  
დარდით დახრულ  
ცეცხლის აღვირზე,  
რომ ცა ბრწყინავდეს სიხარულის  
ნათელ ბრუნვაში.  
სამარადისოდ ნუ გააღვიძებთ  
სიკვდილს, რომელსაც  
ჩუმად სძინავს  
თოფის ლულაში.

1989



## ძელები

ფირალებივით თავწაკრულ ქედებს –  
დასცხათ,

მოიძვრეს თოვლის თეთრი

ყაბალახები

და ცას უმზერენ,

სიცხითა და დგომით დაღლილნი,  
მე მათ დაშრებილ თვალებს ჩავცქერი...  
იქვე უფსკრულთან გადმომდგარ მთას  
ნარბენ ძაღლივით

გადმოუგდია ენა –

ჩანჩქერის.

1965



\* \* \*

შემოდგომაა...

შეაცოცდა ცის ტოტებს მწუხარი,

მზემ მიიხურა ვარდისფრად კარი.

მე კი ყულევთან

ზღვის – ძე და მოდგმა –

გზიგარ და ვუსმენ:

შავ წარსულის ნაპირთან მდგარი

შვილწართმეული –

კოლხი დედის

კივილს და მოთქმას.

1963



## ახალი მთვარე

კანკალებს ელვა...  
და ზესკნელიდან  
ისმის მნათობის შორი ძახილი...  
ღრუბელთა თმები ჩამოშლია –  
ამორძალივით  
და სიჩუმეში წევს და ახველებს  
ღამეს,  
მთვარე რომ გახირვია ყელში  
ძვალივით.

1979



\* \* \*

ვტეხე საჭრეთელით...  
ვხატე გუაშით, —  
ფაფარაშლილი წუთისოფელი,  
მაგრამ...  
მცირეთა ხვედრი ყოფილა —  
დღისა და ღამის  
უთაგბოლო  
წვა და ბრუნვაში,  
ჟამის კიდეზე სკუთარი  
სარკმლის გამოჭრა.

1979



\* \* \*

მოდი!

გამტყორცნე

და გადამკარგე,

ანდა მარადეამს

აქ დამასახლევ,

გესმას ბუხუნი ჩემი –

ლომური;

სანამ მოლიანად მოერღვევა

ჟამთა სასახლეს,

ჩემი დღეების

ციცქა გომური.

1986



\* \* \*

ჩაუბდუჯავთ ბილიკები ხელში

შუბივით

და წარსულად დამდგარან მთები

ყელგამოღადრულ ომებიდან მოისმის ქმენა,

ბრძოლებით დაღლილ მიდიელთა

და ქალდეველთა.

და ჩამონგრეულ ციხის კედელთან –

ვით მეციხოვნე თვლემს დაღვრილი –

სისხლი და რწმენა.

1964



\* \* \*

ჩვენი ბავშვობის შუკებს გამოჰყევ  
ფეხშიშველი და  
კოდოს ნაკბენ  
მაღალ წვივებით  
და დამელოდე, ვითარც მაშინ...  
ჯეკეს ბოგირთან;  
მე მოვალ შენთან...  
და ზაფხულის ხშირი  
წვიმებით, –  
ცისარტყელების ჩამოტეხილ ტოტებს  
მოგიტან.

1961



\* \* \*

დღეები ბაძავენ წეროებს –  
მწკრივებად მიფრენენ...  
ფიქრის ცა იმდვრევა  
ბავშვობის შორეულ კუნძულთან.  
და შენზე ოცნება...  
და შენზე სიმღერა  
შემინდე! –  
თუ ადრე მოვწყვიტე  
ძუძუდან.

1972



## შიგნი “ამაღლება”

მხოლოდ წუხილი...

მხოლოდ დარდი, სხვა არაფერი,

ჩემმა გამჩენმა,

მოსვლის დღიდან,

რაც მიწყალობა.

და... მარტო ერთხელ, მხოლოდ ერთხელ,


ვით ეფემერა,

ჩემთან მოვიდა ჩუმი გალობით

ბედნიერება და...

მომეფერა.

1989



## ფოთი

შავი ზღვის პირას –  
კვლავ დგანან ბორცვები,  
ვით აკადემიის  
ძველი კათედრები.  
ზღვაში წევს ურიცხვი მტერი  
და მოყვარე  
და ვითარც იმათი დარდი  
და ვედრება –  
ქარებმა ნაპირთან ტალღები  
მოყარეს.

1988



## შენ საქართველოს გადგას უზელი

შემოიჭირე სიყვარულის აპეურები,  
შენც საქართველოს  
უდელი გადგას,  
როგორც ტიციანს,  
როგორც პაოლოს  
და ზღვად დაძრწიხარ,  
მიწაზე, რადგან –  
საშველს ვერა და  
ვეღარ პოულობ.

1982



## შელამდე ომში გმირების ჭარსული

საუკუნეთა უმძიმესი საფეხურებით

ავალ გუმბათზე

და საქართველოს

წარსულში ისევ გადავიხედავ:

ყელამდე ომში გმინავს –

წარსული.

და შორით ვისმენ –

მეციხოვნის ბახილს

ციხიდან,

ვითარცა მეფე ლაშქრად –

გასული.

1962



## ტეხურის პირას

ტეხურის პირას –  
თვალებს იფშვნებს  
ნაქალაქარი  
და მე დავცეკერი ისე,  
ეკიდან,  
ვით წინაპრები დასცეროდნენ  
დიდი ხნის წინათ...  
გათენებიდან ცას და მიწას  
ცეცხლი ეკიდა,  
შეღამებისას,  
ჩასაქრობად მოვიდა წვიმა.

1972



\* \* \*

ვით მეგობარი და ახლობელი  
მზე ხელს ჩამავლებს  
და შემიყვანს  
წკვარამ დამეში,  
როს წუთისოფელს დარდი დაბინდავს.  
უთენია კი, კვლავ ამოგა  
და ამომიყვანს  
ფიქრით გამურულ დამის ქვაბიდან.

1968



\* \* \*

როცა ქარები—

სიმყუდროვის ჯაჭვებს გაწყვეტენ,  
მაშინ ღრუბლები ელვის სატევრებს  
იშიშვლებენ და პგვანან მეომრებს.  
მერე დაღლილნი, მთვარის შუქზე  
პერანგს იშრობენ.  
ზღვა კი ტალღებში მიმახსოვრებს  
და მიმეორებს  
და ესიზმრება —  
მოწყენილი ჩემი სიშორე.

1964



\* \* \*

გათენდა...

ფანჯრებს ცა ჩაედგათ

ჩამქრალ გუგებში.

სანაპიროზე ქრიან ქარები

და ღრუბლებს ტალღებს არ აკარებენ.

მზის სამხრიანი –

დღეს აცვია თეთრი მუნდირი.

ვითარცა ლომი,

დასავლეთის დია კარებთან

შავი ზღვა წევს და...

მიწას ურტყამს რიონს –

კუდივით.

1961



## ო, ალგათ, მაშინ...

კოლხურ დამეში,  
წარსულიდან  
მოისმის კვნესა,  
და პონტო უფრო უმატებს დელვას,  
თითქოსდა იგი  
იმ შორეულ სევდას  
უცდიდა...  
ო, ალბათ, მაშინ, ტყუპის ცალი –  
“ბატა” და “ჩელა”  
შობა ჩონგურმა ციკ ფაცხაში  
თავის მუცლიდან.

1989



\* \* \*

ფაზისის პირას, —

გაზრდილს კოლხეთში,

ისევ მაცვია

ქარიშხალის ლურჯი პერანგი

და ფრიდონივით ვარ უშქარი

ზღვათა მფლობელი,

მაგრამ...

ვინ იცის, სად მივერაგებს

დელვა სასტიკი და ულმობელი.

1969



## მცხოვრისთან

საუკუნეებს რეგავს სამრეცლო

და ახლო იწევს

ცივი შორეთი –

ომით...

ყიფინით...

ციხე-კოშკთა

ბროლის სვეტებით.

და მე მცხოვრისთან –

მიღმა სამი ათასწლეულის,

წარმართა გზებით დავეხეტები.

და მესმის ლოცვა...

მესმის ოხვრა

და საუბარი,

სადღაც, სულ ახლოს,

ქართლის ცისქვეშ

მდგარი თუბალის.

1964

\* \* \*

ჭიშკართან დამდგარ ნოემბრის დამეს,

მთვარე ეკიდა,

ვით სატევარი.

და ყველა ფოთოლს

გულზე ეხატა –

შემოდგომის დაძარდვული

ხელის მტევანი.

1976



## აფხაზი

აქა, ას ოცი წელი გავიდა,  
სიცოცხლესა და აფხაზ ბერიკაცს,  
ერთმანეთი რომ პყავთ ჩაბდუჯული.  
ისმის მუქარა...  
და კედრება...  
ისმის ჩურჩული...  
არ ჩანს სიკვდილი ბრმა და ურჯულო,  
რომ ხელი სტაცოს  
და გააშველოს.

1961



## შვარსკვლავო ღამე

საუკუნეთა, თუ მტრად ქცეულ  
ათასწლეულთა –  
გადავიწყების  
მძიმე მტვერით დაუფარავი –  
სხედან ხსოვნაში წინაპრები –  
ჩვენი ძველები,  
და შორით მოსჩანს უვარსკვლავო  
ლამე – წკვარამი –  
ჩვენი ნათელი დღის გაგრძელება.

1966



## ჯორდანო ბრძოლა

როცა სოქება: “ბრუნავს”,  
მოკვდაგს უფლის ეცვა  
სამოსი,  
ხმები სიმართლის გარნა ხმებიან!  
რომ მოესმინათ “წმინდა მამებს”,  
ჰქონდათ ნამუსი?  
ცეცხლში ისროლეს...  
სახეს ჭმუნვა არ შეხებია.  
და... ის დაიწვა –  
საგუთარი რწმენის  
კოცონში.

1967



\* \* \*

მესიზმრა: დამე მიკოცნიდა  
მწუხარ ბაგეებს,  
და ქარიშხალი –  
ზღვის ცივ ფსკერზე მიგებდა ლოგინს.  
ზარს მომკიოდა ციცქა გოგო –  
“სახელად ემა”.

თავზე სიბნელეს დამბლაოდა  
ღრუბლების ჯოგი,  
გულზე ჭიხვინით ფლოქვებს მცემდა  
ტალღების რემა.

1965



## შავი ზღვა

ჩამოიგდიან გრიგალები  
და კითხულობენ  
მის სიდიადეს და წლოვანებას,  
მას მთებზე უდევს მდინარეთა გამხდარი  
პუდი,  
და... დასავლეთით –  
ჟამთა ბებერ ლერწმოვანებში –  
შავი ზღვა ბუდობს.

1959



\* \* \*

ღამეა ფიქრში...

მხოლოდ ჟამი-ჟამ  
უზენაესის უწმინდესი ცეცხლი  
იელვებს,  
კანკალებენ და ძრწიან ბინდები,  
ისეგ ტყვედ გყავარ  
სიბნელეს და  
სიცარიელეს,  
მოდი! –  
მიშველე!  
და აენთე, თუ აინთები.

1971



ପ୍ରକାଶକ

სფინქსივით თვლემენ უდაბნოები  
ცხელ ქვიშაში  
და  
კვლავ დარდობენ ჩამქრალ მირაჟებს,  
შუბთა შუილი თითქოს ისევ  
ესმით სკვითების  
და კანკალებენ...  
კანკალებენ პირამიდები.  
თეთრი ნილოსი ომით დაღლილ  
შავ წარსულიდან, –  
მამელუკების მდგრიე სსოვნად  
მოედინე

1976



## პოლხო

შენს ნაფეხურებს –  
მწევარივით მისდევს ლეგენდა  
და გრძნეულ გზაზე იებივით –  
ჰყვავის მითები...  
მწამდა, აქ იყავ...  
მე ზღაპარში მაინც გეძებდი,  
რამ მოგიყვანა, კოლხო! –  
პონტოს სანაპიროზე  
თქმულებებით და ოქროს ვერძებით?!

1960



\* \* \*

პიტალო ქვადა წუთისოფელი,  
სიმღერით გკოდავ  
და მეც ვებრძვი,  
ვითარც როდენი.  
მიჰქრის დღეები...  
დაისებიც სწრაფად  
ივლიან...  
განსრულდა დელვა და მოლოდინი,  
მორჩა იმედი,  
დაშრა რწმენა  
და მიილია.


1976



\* \* \*

წარმართებივით უცხო გალობით,  
შიშის ჩარაზულ  
კარებს აღებენ,  
მოჰყვებათ ჯარი მედუზების,  
ვით მესაკრავის,  
და ლონემიხდილ ზღვას  
უბულო, —  
მისი ტალღები,  
ვითარც იესოს, ქარიშხლის ცივ  
ჯვარზე აკრავენ.

1966



## პვლავ

მზე –

დედისერთა ბიჭია თითქოს,

არვის იკარებს –

გარბის...

ჭკუა გედარ ასწავლეს...

დასალიერთან, –

პვლავ წამოკრა ფეხი

საღამოს,

პვლავ სხივთა სისხლით შეედება

სახე დასავლეოს.

1979



## პომავის ხიდი

მღვრიეა ზვირთი,  
გითარც ჩემი ქართლის წარსული  
და ისევ მიდის...  
საუკუნეთა ქარაგანმა გადაიარა,  
მაინც ჩანს ხიდი,  
რომელიც პომპეუსს,  
მტკვარზე კი არა,  
წარსულსა და აწმყოს შეა რომ გაუდვია.

1982



ა. გ. გ.

## სამყარო

ხუთი მილიარდი –

გული გიცემს

მკერდში –

სამყაროგ! –

მე და შენ გვიყვარს

ერთმანეთი,

თუმც რამდენ ქარიშხალს

ჩვენ შორის

ჩაუგლია...

მაგრამ მზის ამოსვლა კვლავ

მთელი პლანეტის –

ნათლით შემოსილი დღესასწაულია.

1969



## გახეთი

დახლართულია ქვევრთა ფესვებით...  
მღვრიე წარსულს და  
მოკამპამე  
დვინოს ჩახედეთ, —  
როგორ ციმციმებს ეს დალოცვილი.  
მზის დიდ სარკეში იყურება  
ჩემი კახეთი, —  
ვაზებით სახეგადაკოცნილი.

1985



## ოპერა ვოლადი

დაციმციმებდა მზე –  
სიცოცხლის შარავანდედად,  
თუმც ჟამთა ცეცხლში დიდხანს  
ბოლავდა,  
და ფენიქსივით მერე მაინც  
ადდგა ნაცრიდან;  
ათასწლეულის, ბარე ორის,  
მაღალ ტაძრიდან –  
ქართული სიტყვის –  
რეპარს ფოლადი.


1966



## თოვლი

ქართლის გელებზე თოვლი  
გათენდა,  
შებლშეჭმუხნილმა ცამ  
იგრძნო შვება,  
და ცისქვეშეთში მეფობს თეთრი  
კრძალვა და კდება.  
მე ბილიკების  
ქამანდს ვტყორცნი  
და ჩემი მთები,  
ჭიხვინებს, როგორც დამფრთხალი რემა.

1967



\* \* \*

ვარსკვლავების ისრებს სტყორცნის  
ღამე მიწას და  
გრიგალი,  
ზღვას სიშმაგის გვერგვზე ართავს  
და... იოლი მას პგონია,  
ცისთვის მიდგმა ოქროს  
კიბის,  
გადაადგილება მთათა.

1959



## შორი და ასტრალური

სუფეევს ღამის წყვდიადი  
და სანამდის ანათებს,  
ის შორი გზა ალური,  
მანამ ფრთებით სინათლის  
უნდა შეძლო მგზავრობა  
შორი და...  
ასტრალური.

1966



## დები

(ცუცუ და რახილ ლიფონავების ხსოვნას)

ულამაზეს (გაუთხოვარ)

დებს ვიგონებ:

ერთი – ცუცუ და მეორე –

რახილია.


საუკუნის მერეც ორივ ცოცხლობს

ჩემში,

მათთან სიკვდილს –

რა ხელი აქვს?!

1958



\* \* \*

კოლხურ ხიდან ნაკეთები  
ცას მიადგა ოქროს კიბე,  
რუბიკონიც გადალახა.  
და ფაზისთან ელოდება –  
განგს,  
ნილოსს და  
გვადალახარს.

2013



## ଓରେମଣ୍ଡି

ଓଦା – ସିଶୁରାଜିତ ଫା

ପରମୋଳିତ ଫାଲଲିଲି,

ଧେଲୁଗାଥ କେର ଶମଲେବିନ୍ ଶାମତା

ମଦିନାରିବ.

ଫା ପାରସ୍ଯପଲାପରେବିନ୍ ନକ୍ଷରାତିର ପରମାତମାବିନ୍

ପରେମଣି ସାହେବୀ ହାମରମଦିନାରି,

ରା ଜିନାବ,

ନିଜାପତାନ

ହୃଦୟମାଧ ପରେମଣିବାବା.

1960



ხილულს არა,  
უხილავს

ელვის წამით გაკრთომა,  
ძირს ჩამოდის ქუხილად!  
შენ კი,  
ვით მზის ნაშიერს,  
გსურს ნათელს ეზიარო,  
ხილულს არა,  
უხილავს.

1972



## ოსანა

მგოსანს, ციდან მოფრენილს,  
ტაძრის ბჭესთან მღოცველნი,  
როს ეტყვიან “ოსანას”<sup>1</sup>,  
ხსნა არ ძალუძს საბრალოს,  
რა უნდა ქნას –  
მგოსანმა?!“

2016

---

<sup>1</sup>ოსანა (ბერძ. ძვ. ებრ) – გვიხსენ!



## ზუ და რეა-პიგელა

მღვრიე ათასწლეულებს –  
მიარღვევს და მიბელავს:  
ორფეოსის<sup>1</sup> სიმღერა,  
გევ,<sup>2</sup>  
ოო<sup>3</sup> და ჰერა,<sup>4</sup>  
ხუ<sup>5</sup> და რეა-კიბელა.<sup>6</sup>

1960

<sup>1</sup>ორფეოსი (ბერძ) – მითოური მომღერალი

<sup>2</sup>გევა (ბერძ) – მიწისა და ქვესკნელის ქალღმერთი

<sup>3</sup>ოო – (კოლხ) – ზევსის უფროსი და და მეუღლე

<sup>4</sup>ჰერა (ბერძ) – ზევსის უფროსი და და მეუღლე

<sup>5</sup>ხუ (ქალღ) – მშობიარობის ქალღმერთი


<sup>6</sup>რეა კიბელა (ბერძ) – ღმერთთა და კაცთა დედა



## ალბათ

ნეტა, რას მოასწავებს,  
ამ არეულ ქაოსში,  
ხშირი ხილვა ნოეს?  
ყველაფერი შორსა ჩანს,  
მაგრამ...  
ალბათ წარდგნის გზა –  
არის უახლოესი.

2016



\* \* \*

მარადისი ძილით მთვრალებს,  
ფიქრთა სანთლით კვლავ  
შეუვლის,  
და მთვლემარე დილის ლოცვა –  
დამე თეთრად ნათევს შვენის.  
ცეცხლითაა ის სნეული,  
ნათელხილვის,  
ნათელსმენის.

2009



## პოეტის სული

ბიბლიიდან უცხო ხმა რომ ისმის,

ალბათ,

საულს უხმობს

ესავი.

დღე – ყველა სასწაულია,

ზე-ცა კი პოეტის სულია,

მარადის უქრობი –

მზესავით.

1960



## თუთარჩელა<sup>1</sup>

ვარსკვლავებით გადაბურულ  
ცის ტაძრიდან –  
ციურ ლოცვად  
ცვივა ნამი,  
რწმენის ხისგან ნათალი,  
და დაცქერის მიწას ღამე,  
პიკლოპივით ცალთვალა.

1958



\* \* \*

არსებობ ჯვარზეცმულ მაცხოვრის  
     იმედით,  
     ამაქვეყნიურ სიამის მგმობელი.  
     აღარ გსურს დიდება  
         კაფკას და მარკესის.  
     თუმც შენი დღეები ტოტს ჰგანან  
         მობელილს.  
     კვლავ იხედები გონების სარკეში  
         და ჩირად არ გიდირს  
         სახელი ნობელის.

1913



\* \* \*

სულ მალე გაიგებს სამყარო,

ამქვეყნად ვინ რა და

ვინ არის!

წამს ელის ჟამთასვლის მოხელოვის:

ფაზისი, მითებად მდინარი,

ლეგენდის ბურუსით

მოცული კოლხეთი.

1962



## ხილვა: იოანე ოქროპირი და ჭინასჭარმეფზეჭილი მალაძია

მტკვარ-არაგვის შესართავთან  
რომ დასცექერის –  
მაღლივ ჯვარი,  
მცხეთას,  
იგი უძველესი,  
ღვთისმოსავი ქალაქია...  
მასზე შორით ლოცულობდნენ:  
იოანე ოქროპირი...  
ქალდეველი მალაქია.

1964



## ზამთარი სპანეთში

უშბას და შხარას მთებს შუა,  
მთვარე ჩანს –  
როგორც მწვერვალი,  
ჯერაც უცნობი და უსახელო!  
და... მაღლა იწევს  
თეთნულდი,  
თოვლის ქათქათა საყელოს!


1961



\* \* \*

მდერი თუ ტირი,  
ჩანგს ახმიანებ,  
ქარში თუ თოვლში  
დგახარ ისევ მკერდგაღედილი.  
გულიც მარტოა...  
თვალბედითებს გუთხრათ არული!  
აჸა, კისერი!  
ტანჯვის უღელი  
დამადგი,  
მზად ვარ, მო, სიყვარულო!

1958



\* \* \*

თვალებს გაახელს დრო –  
გარდასული:  
დარდობს სიყვარულს  
აიეტის ტურფა ასული,  
ფაზისის პირას უცხო ლანდთა  
ისმის ჩურჩული.  
და იქნე ახლო მარცხენათი  
ფარჩაბლუჯული,  
ხოლო მარჯვენით შუბს დაყრდნობილი,  
ნაბრძოლი კოლხი თვლემს –  
ჰეკატეს მაღალ ტაძართან.

1984

\* \* \*

ლადო გუდია შვილი

თვით მაცხოვარი ტიტველ-შიტველი  
შენი ფუნჯით და მოკვდავების  
ლოცვით შემოსე,  
და შენ თუ არა...  
ვერთა ზეცას ვინ გააღებდა,  
და აი, ახლაც,  
მამა-ღმერთი  
და ანგელოსი  
ისევ მოგელის ქაშუეთის  
ტაძრის თაღებთან.

1977

## მევე ერთებლე

როგორც მეტეხი,  
მტკვარს დაგყურებ  
დამწუხებული,  
და მტკვრიდან დამის ვჭვრებ  
ანარეკლებს:

კრწანისის გელზე  
მოწყენილი დადის ერეპლე  
(სიკვდილის რაშებს გმირები არ  
დააგელვებენ).

და სცივა მეფეს...  
თუმც ანთია...  
იქვე სული  
არაგველების.

1989



\* \* \*

სადღაც იელვა...

და ქარიშხალმა

გადაუფრინა ღელვას

ქორივით

და დაედევნა ბნელში უხილავს.

ნაპირს მოაწყდნენ...

და წიოკი ისმის

ტალღების,

ზღვა იფოფრება დედა-კრუხივით.

1961



\* \* \*

აქ ყველაფერი თავისას ითხოვს,  
სიცოცხლეს ითხოვს  
სიკედილის შიში,  
მსხვერპლს –  
ცივ ლულიდან ნატყორცნი ჭურვი,  
სიმაღლეს –  
ჩემი ქართული ჯიში...  
პური შია და,  
გუჭი ისევ უხმება  
შიმშილს,  
წყალი სწყურია ხახამშრალ  
წყურვილს.

აქ ყველაფერი თავისას ითხოვს.

1959

\* \* \*

თავდავიწყების ბრუნავს ქაოსი,

ეღვრება ქაღალდს

შთაგონების სისხლი

წვეთ-წვეთად

და ცისკრის ზარზე, აი, ახლა,

დმერთმა თუ კაცმა,

ჩემი მტანჯველი სიხარულის ბრძანა

შეწყვეტა,

ეს მხოლოდ წამით,

კვლავ მოველი ცეცხლსა და

ჯვარცმას.

1970



\* \* \*

ცა თავს გვაწონებს ვარსკვლავების  
ოქროს  
ბეჭდებით,  
გაკრთება ელვა და იდუმალი  
ისმის  
წურჩული:  
სად ხარ, უფალო!  
შენ შემოგტირის ცისქვეშეთში  
ბაგე მდუმარი,  
ყოფნა-არყოფნა,  
გზა-უგზო და  
პგალი —  
უკვალო.

1961

## სახლობს უფალი

ღმერთმა თავისი სული ჩაუდგა,  
ფრენა ისწავლა...  
და დაარიგა,  
რომ ეგალობა,  
ყოფილიყო თავისუფალი...  
და ჰა,  
მას შემდეგ,  
ზოგან მდიდრად,  
ზოგან დარიბად,  
ყველა მგოსანში სახლობს უფალი.

1963



\* \* \*

ცრემლის წვიმად და  
სისხლის მდინარედ  
მიედინება ქართლში წარსული  
და მტკვარი მოჩანს,  
როგორც იარა.  
თურქნი,  
არაბნი,  
შაოსანი გზებით მიდიან.  
აი, ეს მთები,  
მთები კი არა,  
ცოდვაა...  
და მათ ზურგზე ჰკიდიათ.

1968



\* \* \*

თქვენს შესახვედრად  
მოვისწრაფი  
დღიდან გაჩენის,  
თქვენს მაღალ სსოვნას  
ლეგენდებში  
ბეგრჯერ შეგუვლი,  
დაუგიწყარნო,  
დავიწყებად არ მემეტებით.  
და დრუბელივით გზადაბნეული,  
გარდასულ დროთა  
მღვრიე ცაში დავეხეტები.

1959

\* \* \*

ნაოჭებია თუ ფიქრების ნაკადულები,  
მოხუცის შუბლზე რომ გადარბიან;  
ომის ღმერთები ღრეობენ და...

ვეღარ თვრებიან.

ვისი ოცნებაც ომმა მოკლა  
და დაარბია,  
იმედის მბჟუტავ ნაკვერჩხალს კვლავ

მიფიცხებია.

1984



\* \* \*

მოველ...

დაგურინავ ჩემს მამულში,  
 როგორც გავაზი,  
 შარბათთან ერთად შხამიც შევსვი  
 ღვთისგან მოწვდილი  
 და ახლა ჩემი სიცოცხლე და  
 ჩემი სიკვდილი,  
 ალბათ იქნება ისე კარგი,  
 ისე ლამაზი,  
 როგორც დღისა და დამის ქორწილი.

1967



\* \* \*

შორს...

ჩემი რწმენის ცაში მიმჯდარი,  
ბედისწერა თუ ღმერთი ფარული,  
მის მონა-მორჩილს –

მარად მწყალობდა.

დიდი ხნის მერქ,

ჩრდილში მდგარი

თუ მოარული წარსული,  
ჩემში სიხარულად ამოწყაროვდა.

1968



## ვასულა ყველა

ცის ცხელ ქურაში გამომწვარი  
ორი აგურით –  
დღითა და ღამით –  
მნაყეს და მჯეკნეს  
წლებმა...  
და ჟამი ჩემს სიცოცხლეს  
ბინდისფრად ბელავს...  
ვეძახი: თომა!  
სოლომონ!  
ჯებ!

ხმა არსაიდან... წასულან ყველა...

1959



\* \* \*

ტალღებს აღვიძებს აფრის ტკაცუნი  
და ზღვა ასაფრენ ყანჩასავით

ისევ წრიალებს...

და, ვით მარცვალი ღვარძლის და იფქლის,  
სიბნელე ფრთებით

დააქმო ღამურებს,  
ღუმილის მძიმე ფეხის ხმაზე ირხევა ფიქრი,  
ვითარც ლერწამი სასალამურე.

1967



## ქამს მიმღებისას

ქამს მიმღებისას,

ტყის ტაძარში

ჩურჩული ისმის,

მუხის ფესვებთან ციალებენ

ტახის ეშვები.

აურეოლებთ ხეებს, —

შიშით მოცულებს.

და კედარ ვიგებ, ქარის პეშვიდან

ფოთლები ცვივა თუ

ტყე ლოცულობს.

1958



## დეკომინი

დედაქალაქში  
ბაღებს,  
ხეივნებს,  
ბერტყავს და ბერტყავს ჟამი ბებერი.  
ფოთლებს თუ დღეებს  
ცოცხით ხვეტენ  
იეზიდები.  
წელში მოხრილი, ყრუ დეკუმბერი,  
შემოდგომის მზეს  
დასავლეთით  
მიეზიდება.

1957



## არარატიან

ჰა, არარატი.

წვიმდა... უცებ გამოიდარა  
და მზემ სხივების ოქრო მომფინა.  
შორით გამოჩნდა ფრთათა რხევა  
უსათნოესი  
და მეჩვენება ბიბლიიდან  
ჩემსკენ მოფრინავს  
მტრედი  
ნოესი.

1969



## ეპა, მამულო!

ახლაც ჩაგესმის შორეული ხმები  
ნადარის,

გვა, მამულო!  
მტრის თვალებში ეგდე  
ბეწვივით.

აღმოსავლეთით  
დაგტიროდნენ “მთანი მაღალნი”,  
ხოლო დასავლით თმაგაწეწილი  
იდგა შავი ზღვა, ვითარც შენი  
ჭირისუფალი.

1974



\* \* \*

სიცოცხლის ტოტზე ზის და გალობს  
პატარა ჩიტი;  
რა შორით მოჩანს  
ახლა მყოფი ნაპირი მწუხრის –  
მდინარი დილის  
და ლამის შეა.  
მისდევ აღმართებს ისევ მგლის მუხლით.  
ხედავ?  
გალობამ შენც ჩიტივით  
შორს გაგიტყუა.

1992



## აგატია

საავდრო ღრუბლებს,  
როგორც ყვავ-ყორნებს,  
მიერეპება ქარი დასავლით.  
დირიჟორივით ცასაც შავი ფრაკი

აცვია.

ომიდან შვილის მომლოდინე  
ბერდედასავით,  
გათეთრებული, ჩემს ჭიშკართან დგას  
აკაცია.

1959



\* \* \*

ზაფხულ და ზამთარ ჭამს ჩვენს  
 სიცოცხლეს,  
 მიწამ მუცელი მაინც ვეღარ ამოიყორა.  
 წელზე არტყია მას სიკვდილის  
 შავი ქამარი.  
 ჩვენ კი მოკვდაგნი,  
 ვით ხარები:  
 ნიშა,  
 ნიკორა,  
 მარადეამყოფნის  
 იმედს ვლოკავთ,  
 როგორც ქვამარილს.

1974



\* \* \*

აღმოსავლეთით, —

ქართლის მთებიდან,  
მოდგა ზამთარი თეთრი ღიმილით  
და თავს იწონებს —  
უთეთრესი გარეშემოთი.  
დაგმანულია კარ-ფანჯრები ჩემი  
ოთახის,  
შენზე ფიქრი კი  
ფეხაკრეფით  
მაინც შემოდის.

1999



## მოხუცის სიბრძნე

მიწას ჭამს ბაგშვი, —  
 დედაჩემი იტყოდა ბრაზით,  
 საწყალი ბებო  
 დასტურის ნიშნად  
 თავს დაუქნევდა  
 და სიტყვაში ელავდა  
 ხვითო:  
 — არა უშავს რა,  
 ბაგშვმა ჭამოს მიწაც და  
 ქვიშაც,  
 სანამ ისინი შეჭამენ თვითონ.  
 . . . . .

მოხუცის სიბრძნე გავიგე გვიან,

1968

\* \* \*

დღე ცეცხლის ხარებს  
მზის გუთანზე  
ისევ შეუბამს  
და ცის ვეება მინდორს გადახნავს.  
და მოვა დამე,  
გლეხკაცივით, მოხუცი  
მთავარე,  
ვარსკვლავთა მარცვალს  
დაუწყებს თესვას,  
მერე დილამდე  
ოქროს თავთუებს გააქვს  
შრიალი.

1969



## ბოხოვ, მაააჭიო

მემახის დანტე

და ჯოჯოხეთი

და დაკარგული კივის სამოთხე,

შენ სიზმარივით ფეხაკრებით

ჩემთან მოვედი

და მინდა, შენზე სიმღერებით

სული ამომხდეს.

გთხოვ, მაპატიო, თუ რაიმე

ცოდვა დავუშვი

შენზე ფიქრებში,

შენს ღიმილში,

შენს სიყვარულში.

1983



## შენ ასე იტყვი

ხან მხიარული, ხან მოწყენილი  
თვალებში ედგა  
საქართველოს  
ცა და ამინდი,  
იყო ბავშვივით გულუბრყვილო  
და მიამიტი  
და მწუხარებად  
ჩიტის მკვდარი მართვეც ჰყოფნიდა,  
აღტაცებად კი  
სიხარულის წვეთი ჰყოფნიდა.  
შენ ასე იტყვი,  
როცა წავალ მე ამ სოფლიდან.

1986



## მოვა საღამო

მოვლენ ქარები ხელის კანკალით  
და შემოდგომის  
ფოთლებს გაკრეფენ,  
და გაავებულს  
ჰგვანან ყაჩაღებს.  
დღე სისხლგამშრალი გადაიგლის  
მთებს ფეხაკრეფით,  
მოვა საღამო  
და ვარსკვლავებს  
კვლავ გააჩაღებს.

1963



## მჰ, ისტორია

ისტორიებში

ახლაც ომის ცეცხლი ანთია,

ოწვის ელადა,

ოწვის რომი

და ბიზანტია.

ისმის ყიჯინა,

ისმის მოთქმა

და თავგანწირვა.

გვ! ისტორიამ,

ზოგჯერ რიგით,

ზოგჯერ ურიგოდ,

ჩემს ქართველ ხალხსაც ჯიხვის

კანწივით

სისხლი და ცრემლით

სავსე ჯამები,

ვაპმე! რამდენჯერ ჩამოურიგა...

1985

## ვიქრო დედაზე

შორს,

სადღაც, სოფელს

ყევენ ძაღლები, —

ურმის ჭრიალით და კოლხური

თუთარჩელათი,

დავუურებ თბილისე...

და ვითარცა სავსე ჭინჭილა,

დედაზე ფიქრი ხელში მიჭირავს

და მე მგონია

გავინძრევი და...

დამედვრება.

1984



## ღლები, ღლები...

ჩამოველ ქალაქს...

ანკესით ხელში,

ხობისწყლის პირას მივატოვე

ბაგშვობა ჩემი.

დიდი ხნის მერე...

როს დავბრუნდი

შიშით და ეჭვით,

ვიხილე:

მოკლეშარვლიანი და ფეხშიშველი

კვლავ იქ იდგა და ოგზაობდა

პატარა ბიჭი.

1967



\* \* \*

ეს მე ვარ, ზღვაო, შენი ხატება,  
 ძლევამოსილი, შენი სწორფერი;  
 ყველა ქარიშხალს, ყველა გრიგალს  
 აღემატება

პოეტის სული სიმყუდროვის უარმყოფელი,  
 ეს მე ვარ, ზღვაო, შენი მოდელი,  
 ცა მაფენს კდემით ნისლის ბადეებს,  
 მერე დღეები ბაგშვებივით უკან მომდევნ  
 და საუკუნის მძიმე ხელებს  
 მხრებზე მადებენ.

შენში დაგმარხე ყველა ხატი და სალოცავი,  
 როდესაც წიგნში ტალღამ  
 ოვალი ქვლავ გაახილა.

მიწაზე ვდგავარ, ზღვაო, შენი  
 ძეგლი ცოცხალი  
 და მომავალი გრიგალების მესმის ძახილი.

1968

## ვიღამშრთან

მწუხარი მწუხარე ზარების რეგვით,  
ვითარცა გზირი,  
ჩამოდგა სოფლად  
და გაილურსა, —

გზას მიაპყრო თვალები სველი,  
მერე, როდესაც წიწამურთან იქუხა თოფმა,  
შეკრთა...  
და გულზე საქართველომ იტაცა ხელი.

1964



\* \* \*

დასაგლეთის ცამ ჭიქა წყალივით  
 ბოლომდე შესვა მზე  
 და მზის სხივი  
 და მოულოდნელ მეხის ძახილზე  
 უეცრად წასკდა წვიმა სისხლივით.  
 ლურჯი ტალღები  
 მწუხრისფერმა ღელვამ შებურა  
 და თოლიების  
 უდარდელი შეწყდა ფლეიტა.  
 ზღვა, ქარის რაშზე ამხედრებული,  
 ნაპირს მოადგა...  
 მერე უცებ ჩამოქვეითდა.

1981



## მთებს გოლიათებს

როცა შეწყვეტენ მნათობები  
უხმო ხეტებას,  
როცა წვეთ-წვეთად  
დამის ქვაბში  
დილა გროვდება  
და სიჩუმეში როცა ინათებს,  
მაშინ მე ვხედავ:  
ჩემს სამშობლოს –  
მთებს  
გოლიათებს  
მხრებზე თანდათან ზეცა  
როგორ უვიწროვდებათ.

1969



## მნიშვნელობები

სოფლის გზა-შარას სივიწროვის  
და გუბეების  
წყლული ვერ იქნა,  
ვეღარ მოურჩა,  
თუმც ჩალისფერი თვეა ენგენის.  
და ჩემს მშობლიურ ეზოს  
მოუჩანს  
სართა მეჩხერი კბილები და  
ღობის ნეკნები.

1966



## რომანსერო

ჩემს აღტაცებებს მზის წერტილი  
თუ არ დაესვა,  
სულის ტოტიდან  
თუ არ მომკვეთს გული საესავს,  
შურის და მტრობის ბასრი მახვილი  
და თუ დღეებმა დავიწყებად  
აღარ გამრიყეს,  
მაშინ მოვალ და...  
მწუხარში ცისკრად  
გაგეძრახები,  
გითარც იდუმალ არსოთა გამრიგეს.

1962



## შინაპრეზი

ტაძრებს აგებდნენ... მტერს ებრძოდნენ...

მიწას ბარავდნენ...

ეს მღვრიე მტკვარი

მათი ოფლია,

წარსულიდან რომ მოედინება.

და მაინც რაა


ქართლის წარსული?

- თორ-აბჯარია, ყიუინაა,

კაჟის თოვია,

ხმალ-ხანჯალია პირგაბასრული.

1961



## სვეტიცხოველი

კოცონებივით ჩაიფერფლნენ  
საუკუნენი,  
მეფების და გმირთა მორჩილნი,  
სიცოცხლის ყანას,  
ჟამის გარდა, სხვა ვინ მომკიდა!  
და მისარია  
არსაკიძის მკლავი მოჭრილი,  
ავგაროზივით წარსულმა რომ  
მე ჩამომკიდა.

1967



## შამთა სასწორი

ბებერ ჟამს უნდა,

რომ მომხიბლოს გაზაფხულებით,  
ნეტავ რაღად სურს,  
ისეც გეტრფი მე – უსახელო.  
დღე და ღამე ხომ პინებია ჟამთა  
სასწორის

და ამ პინებით –

ჩემს სიცოცხლეს,  
სიკვდილს აწონის.  
გარდისფერებში გაუხსნია დილას  
საყელო

და სასაფლაო ყვავილებით  
კვლავ თავს მაწონებს.

1906

## არაბი

მთებში დგაფუნობს,  
ხალიანი უთროის სხეული,  
გაქცევა ასე  
გაუძნელდა  
და გაუჭირდა.  
და მთებს არაგვი კალმახივით  
ჰყავთ მომწყვდეული,  
მაგრამ...  
მცხეთასთან გაუსხლტებათ უცებ  
მუჭიდან.

1994



\* \* \*

შემოეხიზნენ ნაომარ ველს

ყაყაჩოები,

მახათას მთიდან

მამალივით ყივის აისი.

ჩაივლის მტკვარი –

გარდასული ამბის მთხრობელი...

და მარადიულ ცეცხლთან

ისევ,

დამე კრწანისის

ზის... და შეჰქურებს ამაყად მდგარ

გმირთა ობელისკს.

1964



## შენია ვდაღადებ

მაღალი იყავ,

განთიადის გწვავდა ლოდინი.

ნათელი იყავ, აღარ გახსოვს,

როდის დაღამდა,

როდის დაკეცა ბროლის ფრთები  
სურვილის წერომ.

აწ ვგოდებ შენთვის,

შენზე ვდაღადებ,

ჩამოქცეულო ოცნების ჭერო.

1961



## ჩემი ღლევები

ჩემი ღლევები ქვიშას ჰგავდა, ოქრორული,  
და მე  
განგების ნებით მებარა.  
სულ ხელს კუჭერდი,  
მაგრამ მაინც,  
ჩუმი შრიალით,  
ქვიშასავით თითებს შუა გამეპარა.

1977



\* \* \*

სახედამწვარი ბედუინივით  
მზე ყველგან იყო  
ცის უდაბნოში  
და ოქროს ფეხი ყველგან დაადგა  
და როს დაღამდა,  
ცად აკაშკაშდნენ  
მზის ნაფეხურები – გარსპელავები.

1964



\* \* \*

მწამს მოისხამს დარდის ფოთლებს,  
მოყვითალოს,  
მოელფეროს,  
მიტომაა ვრგავ ხეს – საქსაულს,  
რომ მის ჩრდილქვეშ  
მოვაფერო –  
მარტოობის დღესასწაულს.

2005



## მითრიდათა VI მპატორი

ვჭვრებ: რვა მეფე მითრიდატეს,  
იყო რვავე ღმერთთა ტოლი,  
მაგრამ მაინც სულ სხვა იყო,  
მაძებარი “კერა-დიდის”\*

ის მექვსე ევპატორი.

1967

---

\* ”კერა-დიდი” – პონტო, სპერის ზღვა, კავკასიონი –  
თავიანთი შემოგარენით



\* \* \*

მეხთა-ტეხა ცის სარკეს,  
კვლავ ამსხვრევს და  
ამთელებს  
(და კრთის უფლის ტაძარი).  
მე,  
დგთის მონას მაძალებს –  
“მადლობა ბარძიმს” –  
შავთელი.

1969



## პელტებსა და იგმრებს

უცხო ხილვად ანთია –

მაყვალის ბუჩქის

სხვა ალი...

შიში არ ეკარება სიკვდილსა და

სიბერეს:

პირველ მფლობელთ გრაალის –

ტიტურ-კაპადოკიელთ,

კელტებსა და იბერებს.

1972



## მას აძგს აქილევსის ფარი

წინაპართა ძახილს უსმენს,  
ეხმარება ზენა ქარი,  
რომ გაავლოს ქაჯებს მუსრი.  
მას აქვს აქილევსის ფარი,  
არა ქუსლი.

2007



\* \* \*

შიში უდგას თვალებში

ოუცერებს

და სიათებს.

მეხი

გაიხირიმებს.

ვქვილად დასდით სინათლე –

გარსკვლავების ხვიმირებს.

1964



## 0 ყო დიდი მცდელობა

ვაჟას ცოცხლად დამარხვის  
იყო დიდი მცდელობა,  
მაგრამ წლები გადის,  
რომ მის

"კოლხურ ფსალმუნებს"  
და მის  
"ეგრისელობას",  
ვერ უპოვეს ზაღი.

1994



\* \* \*

(ვარიანტი)

დიდი ცოდვებით ქედდადრეკილნი  
ბნელ უფსკრულისკენ მივალო ხევ-ხევად,  
არყოფნის ფეხით კვლავ ვიბეჭნებით.

კაგასიონს კი –  
დედამიწის მტკიცე ხერხემალს,  
ემტვრევა ყინვის თეთრი ნეკნები.

1971



\* \* \*

მზე ზღვაში ჩავარდა მწუხრისას  
და გაღმა მიცურავს მხარულით  
სივრცეს ფერი ედება ხაკის.  
პატარა ტალღები ფარულად  
ებდლარძუნებიან  
ნაპირს.

1977



ALISTARU

## გამშვიდობისკან გაფრინდა

მოყვავილე ჭალები –  
მარტის ნათილისმარი,  
და კოლხეური “ნანინა”-  
ასხლეტილი არფიდან,  
ვით ცასმწვდენი ისარი,  
ყველა კარგი სიზმარი –  
ბავშვობისკენ გაფრინდა.

2002



## ღრუბლების ჯოგი

მეხთა – ტეხისგან გამოქცეულებს,  
ტანზე ატყვიათ მზეთა წყლულები,  
მიუყვებიან ცისარტყელის  
გადრეკილ ბოგირს.

და...

ზღვაში ჩადის დასარწყლულებლად –  
შავ რქებზე ელვა დანთებული  
ღრუბლების ჯოგი.

1967



\* \* \*

ქარი ხმაურით როცა ჩაიგლის,  
ზღვა წამსვე ნაპირს მოადგება,  
როგორც მევალე.  
და ზვირთთა მჯიდებს ცხვირთან  
მიუტანს.  
სადამოც მოდის, გითა მხევალი  
და ცის საინზე დადებული  
შოთის პურივით,  
მთელი კი არა,  
მოაქვს მთვარის ნახევარი.

1967



\* \* \*

ცაში ღრუბლები უცებ განრისხდნენ,  
მერე მიდამო გრგვინვით  
დარაგვეს...

ეს კლდე თუნგია,  
მთა კი – ბერდედა,  
რომელსაც მხრებით დაბლა,  
ბარისქნ –  
პირთამდე სავსე მიაქვს არაგვი.

1962



## ხევაი სირინოზების

ფეხისწვერებზე იწევენ –  
ზღვები,  
მოქანდი,  
ბორცვები.  
თითქოს აქვე,  
მლეთიდან,  
ისმის ძველ კოლხეთიდან –  
ხმები სირინოზების.

1966



## შიშთვილი

“წარვიდა (იუდა) შიშთვილიბა  
და მოქუდა”

ოთხ.

თუკი მოძმის ღალატით  
ფიქრი გაგიტყიურდა,  
და თუ გადაგიბირა სიავეაცემ  
მზის შვილი.  
მაშინ, როგორც იუდას,  
გიხსნის მხოლოდ შიშთვილი\*.

1962

---

\*შიშთვილი – (მოძვ) გვარდი, საბლი, თოვე



პრომეთეოსს, ამირანს,  
გილგამეშს

უკვდავება ღმერთს წარსტაცეს,  
სიკვდილი კი დგას მშიერი  
და კოლხური მზით გალეშილთ,  
კხედავ შორით  
ჰელიოსის ნაშიერებს:  
პრომეთეოსს,  
ამირანს და გილგამეშს.

1981



## შაშმა გერ დააპეჩავა

კაცად ის მითქვამს,  
საწულოს,  
თავი არ გაათელინა,  
ვინაც იცხოვრა დავით და  
ჟამმა ვერ დააბეჭივა.  
ვით ბრძანა ბრძენმა დავითმა:  
ვინც მზედ ამოვა,  
მზედ ჩავა.


1964



\* \* \*

სიჩუმეს ახლა აცვია ბნელი,  
ცოტა ხნის წინათ  
სინათლე ეცვა  
და ყურს უგდებდა ღრუბლების ხმაურს.  
წავიდა დღე და  
მოწყენილ ცას –  
დამემ შეყარა ვარსკვლავთა ქეცი.

1959



## გადნა, როგორც გლეხჩერი

ჩემი გული დარდისგან  
გადნა,  
როგორც გლეტჩერი\*,  
რადგან ვიცი: ყოველდღე,  
ჭკვიანებშიც,  
ბრიყვებშიც,  
ჩვენს თავს სასაფლაომდე,  
ფეხაკრეფით მივყვებით  
და არყოფნას ვეჩვევით.

2001

---

\* გლეტჩერი – ყინულის მასა

\* \* \*

ქრება...

ისევ ინოება...

თითქოს მეკობრეები,

კვლავ შეიპყრეს ლაზებმა.

ზღვიდან დურდლო ზვირთების,

ისევ მიიზლაზნება.

1971



\* \* \*

ჩემი ზღვაოსან წინაპრებისგან

მომისმენია

და მისწავლია:

- კვალი რომ მისდევს უკან სეინერს,  
თვალმოციმციმე,
- განა კვამლია,

- წყლის ფერიებმა გაისეირნეს.

1962



\* \* \*

შიშველი და გაბადრული,  
ვით ღვთისმშობელს  
ყრმა იქსო,  
ცას კალთაში მთვარე უწევს.  
ძირს, გრიგალი ზღვას ჭირვეულს,  
აძინებს და აკგანს ურწევს.

1965



## არც ჰშავი ჩანს, არც შატილი

არაგვს თვალზე ხელს აფარებს,  
მთებია და ნისლი ნისლობს.

არც ფშავი ჩანს,

არც შატილი,

აა ხეგსური ამბობს ხვთისო:

— აბა,

რაი ვიქნებოდიოთ,  
უმცხეთოდ და უხერთვისოდ?!

1967



## სულილიძეა

თუ არა,

იგი ბარძიმი,

მე,

შიშით დამენათევი –

ცოდვები უნდა მეზიდა.

გადმოჩქევს წმინდა ნათელი –

რწმენის ცის დარბაზებიდან.

1966

\* \* \*

(ვარიანტი)

ისმის ძაღლების ყეფა და...

მითს წარსულიდან

მოხმობილს,

მზის ხილვა აღარ აშინებს.

ვახტანგ გორგასლის ხოხობი,

მტკვარზე ფრთებს მოატყლაშუნებს.

1957



## 0სეზ გულევთან

ოცდაათი საუკუნის

წინათ,

კოლხთა სპამ და რწმენამ,

ყულევთან რომ რამზესს ძლიეს,

იქ – ზღვა ზეირთებს აფენს ყურეს.

და დილა შლის ცაზე მთიებს –

ანგელოზთა ნაფეხურებს.

1991



## მრავლდებოდა დევთა ჯიში

იყო დრო, როს ლეგენდებში –

მრავლდებოდა დევთა ჯიში...

ხოლო ფშავს და ხევსურეთს

უფრორე წაისილა...

მერე...

ამირანის შიშით

გაქრა დევთა სინსილა.

1964



\* \* \*

შორს,

სადღაც დასალიერთან,  
დღე-ღამე – ძველი ცოლ-ქმარი,  
ერთმანეთს ისევ დაშორდა...  
დარდი მკლავს რკინის მკვნეტავი:  
ღმერთმა ცა ელვით გაშოლტა!  
რა დააშავა ნეტავი?!

1961



\* \* \*

შენი ფიქრი,

ვით ელგა,


დედამიწას უვლიდა

(მოვარე ჩანდა ზიგმუნდად).

შენი სახე ღრუბლიდან,

გვიან გამომზიგულდა

2001



## პოლიტიკური ჟსაჭმულები დამოკრატის

დრომ კი არა,  
ზოგმა “ჩვენმა” მაღლა მხედმა,  
სურვილი ვერ დაიოკა:  
კოლხეთის დიდ ისტორიას  
დავიწყების გვერბეზე ართავს,  
მაგრამ ბევრი კოლხთა წარსულს  
ფეხს წამოკრავს  
და მოადენს –  
დაბლა ზღართანს.

2005



\* \* \*

დღეთა დასალიერთან, ვაჟ!  
თუ უცებ შებინდდა!  
ცრემლი ვინ მოგაყაროს?!  
მოსულს ლეგენდებიდან  
პოეტს –  
ქვეულს სამყაროდ.

1969



## დამე უშგულში

ცა ყინვით იყო გადასარკული,  
ღამე ანთებდა მნათთა  
ჩირალდნებს...  
მერე სივრცე როს ზამთარს მიანდეს...  
ამაყად მდგარი მთები  
ზვიადი,  
თებერვლის თოვლში გაუჩინარდნენ.

2003



## გითარცა კოლხ აქციუსს

დღისითაც და ღამითაც –

ცაში ცქერა დაგჩემდა,

ვითარცა კოლხ აქციუსს\*.


ქაოსიდან ამოსულს,

საქართველოს ცად ქცეულს.

1963

---

\* აქციუსი – აიგტის ძმა იყო



\* \* \*

ფეხზე დგომით დაღლილების,  
მაღლა იწევს ოხვრა მთების.  
ზღვაც ღელავს და...  
საიდანდაც,  
ზვირთებს მოაქვს ოხ! რა ხმები.  
ზეცა მოჰგავს ჩემს ძველ კოლხეთს,  
მიმოფანტულს –  
ვარსკვლავების ქოხმახებით.

1967



\* \* \*

მიგიძლოდა აგუნა,  
უფლისაგან მოვლენილს  
აქ,  
პოეტის კვართით.  
და... მერე ცამ გარგუნა –  
საგალობლად ქართლი.

2000

\* \* \*

ვით ათონი და აგუბედია,  
ზღვაც წაგვართვეს და  
ცაც წაგვართვეს ნახატი ყალმით.  
და ვით სიბილას\* მისნურ წიგნში –  
ის ტრაგედია,  
ალბათ,  
ეწერა ზღვისკარად მდგარ  
ფოთლებზე პალმის.

1993

---

\* სიბილა (ბერძ.) – მისანი, წინასწარმეტყველი.



## დედამიწის საღლებრძელო

ვით ყველა მოკვდავს შენც,  
მზის ნაშიერს,  
ბოლო მოგიდო წუთისოფლის ბორბლის  
ტრიალმა.  
და ბრუნოსავით,  
მარადიულ ცეცხლში დაიწვი.  
ხელში გიჭირავს მოვარით სავსე –  
ზეცის ფიალა  
და სადღეგრძელოს სვამ დედამიწის.

1991



## საჭამო

მოგა საღამო და საქართველოს  
ცაზე ვარსკვლავთა დროშებს  
აღმართავს,  
რომ ვარდისფერი მიწას აწვიმდეს.  
ვდგავარ კოცონთან, ვითარც წარმართი,  
და ცას ვავედრებ საგალობელს  
აწინდელს.

1979



## ଜୀବିତରେ କାମରେ ନାହିଁ

ମହିଳାଙ୍କରେ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କର ଶକ୍ତିରେ ବେଳେବୋ,  
 ଓ ପାଦରେ ପାଦର...  
 ଫାନ୍ଦିଲେଖା  
 ମହିଳାଙ୍କରେ ମାର୍ଗବ୍ୟଙ୍ଗରେ.  
 ଏବଂ... ମହିଳାଙ୍କରେ ମହିଳାଙ୍କର ସିଦ୍ଧମିଳାନ  
 ପାଦରେ ବେଳେବୋ ପାଦର  
 ପାଦରେ ପାଦର...  
 କାନ୍ଦିଲେଖା  
 ବେଳେବୋ ପାଦର.

1959



## ჩემი პიშვები

ზღაპარში წვანან,  
უგალობენ  
ანგელოზები  
და სინამდვილე იქ შეფრენას  
ჯერ ვეღარ ბედავს,  
ჩიტის ბუმბულზე მსუბუქია  
სიცოცხლე მათი,  
ტირიან ძილში...  
დაეძებენ სიზმარში  
დედას,  
ჩამოღვენთილი წყვილი ცრემლის  
კამკამა სანთლით.

1978



\* \* \*

ხმას ჩაიკმენდავს უცებ  
 სიბნელე,  
 როს ჩაესმება ჰელიოსის ეტლის  
 ხმაური –  
 აწერიალდება აღსავლის კარი.  
 ფეხებს დაიჭრის გარსკვლავების  
 ნამსხვრევზე მოვარე  
 და ჟამს ცისკრისას გარდაიცვლება.

1975



\* \* \*

ზღვა -

ჩემი გიჟი ორეულია,  
ცისკენ აღმართავს  
ფიქრთა ზვირთებს  
ოქროს ტინებად.  
ო, რა ძნელია ზღვის ძეობა  
და ასულობა,  
რადგანაც იგი  
ცას და მიწას ეპოტინება  
და მკლავს მე მისი სულწასულობა.

1981



\* \* \*

აღარ განიხვნა ჩემული ცათა  
 კარები,  
 ჩემი სურვილის ციცქნა ქოხი  
 ვერ გადავხურე.  
 მაღლა დაფრენენ, –  
 დარი უდგათ ახლა  
 ჭილყვავებს,  
 ო, არა უშავს,  
 ბედი მაინც გაიზაფხულებს  
 და დამჭკნარ იმედს კვლავ ამიყვავებს.

1977



\* \* \*

სიბნელის სკამზე შემდგარა დამე,

ვითარცა გლეხის

შავტუხა ბიჭი.

ზეცას აჭედებს ვარსკვლავების

ჟანგიან ლურსმნებს...

მე კოლხურ ოდის აიგანზე

ვწევარ და

ვუსმენ

ჭრიჭინობლების ნაღვლიან ჭრიჭინს.

1985



## წარსულის ქართი

თმაგაბურძგვნილი, შავი და ცივი  
დამე – მახსენებს კოლხეთის წარსულს,  
გამკრთალი ელგა –  
    შეცხადებას მეგრული დედის,  
    რომელსაც უცებ  
        მოსტაცეს შვილი,  
გადამთიელმა ყურსალარებმა.  
და მოდის ქარი სიშორის ტოტით  
და მარტო ვრჩები ღელვასთან და  
    წარსულის ქართან:  
კივილი... მოჟმა...  
    შეცხადება...  
        სისხლი და ცრემლი...  
სხვა არაფერი... არაფერი  
    სიბნელის გარდა.

1988

\* \* \*

შაოსან დრუბლებს ეფარება  
ღელვა ზეირთების,  
რადგან ქარებმა მათ მიაკუთვნეს  
ზღვა დათალხული,  
დაღუპულთა  
სახლის ჭერივით.  
მიწას, ზეცა კი ზურგზე უდევს  
ვითარც მეგურტნეს,  
ცისარტყელების შვიდფა თოკით  
შემოჭერილი.

1971



\* \* \*

გაზაფხულის მწვანე ქართან

არ დაელოდა

მარტი აპრილს და

არ შეუშინდა

და გამოიხმო კვირტები ნუშიდან.

მამავ! –

მერცხლებად შენი ხმაც

მოფრინდა

იმ ცივი ქვეყნიდან, –

იმ არყოფნიდან.

1979



## გეღიერება

რამეთუ იგი დღეს ამომზევდა  
ჩემი ფიქრიდან  
და მეფერება,  
და სიხარულის დაფნისფერი უჭირავს  
ტოტი,  
და ნათლად ვხედავ:  
ბედნიერება  
დამაპრმავებელ სინათლით და  
წუხილით მოდის...

1974



\* \* \*

დაღუპულ გემის გემბანიდან  
ნატყორცნ ბოთლივით  
ვტივტივებ ქამთა  
უგულო ზღვაში  
და დმერთმა უწყის, როდის გამრიყავს  
ნაპირზე დელვა.

1971



## ჰემინგვეი

დღესასწაულობს აფრიკის ფერი  
და ჯუნგლებიდან იღრინება  
შავი ღირსება,  
ერნესტ! –  
სიცოცხლე და სიმართლე  
რომ დამაჯეროს.  
მთვარიან ღამით  
მსხვერპლს დარდობენ  
ბნელი სფინქსები,  
სივრცეს გასცემის მოწყენილი  
კილიმანჯარო.

1968



\* \* \*

ცის სამრეკლოდან  
გარსკვლავები რეკენ და  
რეკენ  
სინათლის ზარებს,  
პიდიოთი პიდე-  
ლამე —  
გეგბა საშანდლება,  
მთვარე კი მნათე.  
უძილო ზღვა  
თავს ნაპირთან მიდებს  
და წამით ჩათვლემს.

1979

\* \* \*

ქვეყნად

არყოფნის ქაოსიდან

ამოვიზრდებით

და კსვამთ სიცოცხლეს...

მზე კი უშქარ სიხარულს

გვაფრქვევს,

სიშორეს გვაწვდის გარსკვლავების

სხივი ცახცახა.

ჭლექს...

ინფარქტს...

კიბოს...

და ათასგვარ სახელებს გარქმევთ

სიკვდილს,

რომელიც ჩვენში ჩასახლდა.

1994

\* \* \*

პირს შეიმშრალებს ცისარტყელა  
ქათქათა

ღრუბლის

სველ პირსახოცზე და ყურს უგდებს  
ტალღების წუხილს.

რექვიემივით წარსულიდან მოისმის  
"ბატა".

მოწყენილ ციდან სიზმარივით ჩამოდის  
მწუხრი,

ზღვა მოლბერტია,

უხილავი,

ქარიშხალს ხატავს.

1968



## ჩვენ და ვრთოსნები

როდესაც მოგა შემოდგომა  
მზის ყვითელ ეტლით  
და ფოთლების ექვნის წკრიალით,  
და როდესაც  
ჟამი აგვიქშევს,  
მაშინ ისინი მიფრინავენ  
"თბილი ქვეყნისკენ",  
ჩვენც მივდივართ და...  
გველოდება  
ქვეყანა ცივი.

1979



## ოუჩელ სიზმარში მე ვნახე დედა

ისევ ბიბინებს ხსოვნის ბალახი,  
ჯერ დაგიწყებას ღერიც კი არ წაუწყეტია, –  
გადმოიარა და არყოფნის

ზღვა გადალახა,  
და ჩამაშტერდა თავხედურად თვალებში  
ელდა.

წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა.

მორჩა,

გათავდა...  
აწი სიზმრებს უნდა ვუცადო.

1994



## ძველი გრაგიშრა

დამით ღმერთები წაეკიდნენ

ერთიმეორეს

და დაცალეწეს ცის დარბაზები,

რწმენა კი დუმდა,

არც წუხილი...

არც სამდურავი...

და აი, ახლა, კვლავ ყვავილობს

თვალში მორწმუნის

მიწა –

მშიშარა ანგელოზთა ცრემლში მცურავი,

ცა –

ურჩ ღმერთების სისხლით მორწყული.

1962



## თებერვალი

თოვლის ფანტელების  
ციური გალობით,  
მოვიდა თებერვალი...  
და სწორედ, დროც არი,  
ჩვენ ვზიგართ ბუხართან,  
გუგუნებს რონსარი,  
კლოდ მონე,  
ფრანსუა,  
დუტე და ნერვალი.

1987



\* \* \*

მიედინება ყოფნა წუხილად...

მიხმობს არყოფნა უნდო,

უგულო.

რომ გამომტაცოს ძახილს უხილავს,

"კაფე-თესეო" – კივის გუგული.

დღეები ცოდვა-მადლით მტვირთავენ,

მეც ვებრძვი დრო-ჟამს და არ ვმშვიდდები,

სანამდე ყოვლით სავსე პირთამდე

სიმყუდროვეში ჩავიმშვილდები,

ჩემი სული კი სადმე მიჯდება –

ქართული ცის ქვეშ,

როგორც მზეწვია,

ანდა ყაყაჩოდ აგიზგიზდება,

რადგან სიკვდილი ვერ დაეწია.

1981

## სამშობლო ჩემო

მოგელ დაღლილი,  
შენთა მტერთა სისხლისმთხეველი  
და შენს სპეტაკ და წმიდათწმიდა  
საკურთხეველთან,  
მე გულის გარდა რა მოგიტანო?  
გადმომდგარო მზის  
სადარბაზოდან,  
სამშობლოვ ჩემო! –  
კლდეო პიტალოვ!

1979



## ზამთარი

უცემ მოგვადგა კარზე ზამთარი  
და აწერიალებს  
ყინვის თეთრ ზარებს  
(მენავთე სიკო გვეძახის თითქოს),  
ვარსკვლავების მაღალ ცეცხლთან  
დამჯდარა მთვარე  
და ყინვით დამზრალ  
ბებერ ძვლებს ითბობს.

1976



## ღუმს ღეღამიშა

გარდახდა ჟამი...  
მზე დასავლით  
ჩამოქვეითდა,  
სხედან ცის ტოტზე ფიქრები და  
სივრცეს ზვერავენ...  
დადის სიკვდილი...  
და ყოველი დამედ იურვის,  
დუმს დედამიწა...  
საიდუმლო იმქვეყნიური,  
ვერ ამოიცნო  
ქვეყნად ვერავინ.

1971



## დაჩი

შურით,

მტრობით და

ომების კვამლით,

მტერმა ვერ იქნა და

ვერ დანისლა

ჩემი ქართლი და ჩემი კოლხეთი.

და, შვილო ჩემო!

მის დამცველად რადგან მოხვედი,

აჰა,

სამშობლო გქონდეს ციხედ

და საბრძანისად.

1981



## სანამ დროა

მარმარილოდან –

შორეული ძახილი ისმის:

სიბნელის გზაზე მიერეცება

ამაქვეყნიურ სიობოს,

სინაზეს,

ყოვლისმმუსგრელი ჟამი –

მარეკი.

და სანამ დროა,

ადიოთ დამის გილიოტინაზე

და...

უკვდავების ზარი დარეკეთ.

1982



## რემა ზვირთვების

მკაცრმა ქარებმა  
და გრიგალებმა  
ცემით,  
მუქარით მიწას ტვინი  
გამოულაყეს  
და მაინც პყვავის და სიცოცხლის  
ფერით ირთვება.  
ზღვა არ ისვენებს,  
და ჭიხვინებს,  
როგორც ულაყი  
და ყალყზე დგება რემა  
ზვირთვების.

1977

## მაჩაგეჭი

მიაფურთხა და აუქნია  
ხელი ცხოვრებას,  
ცამ როცა მთვარის აფრა აუშვა,  
მერე,  
ვით უღრან ტყეში  
ჩინართა,  
ამ წუთისოფლის  
აურზაურში  
გაუჩინარდა.

1981



## 806 იყო იგი

ვინ იყო იგი,  
ვინც ამქვეყნად  
პირველი იშვა,  
ათასწლეულთა რომ გაჲყვა ოქტავს.  
ვინც შეერია  
აქ არ ყოფნის  
მტვერსა და ქვიშას  
და მოკვდავთ შორის  
პირველი მოკვდა?

1984



## პრანისის ველი

მტკვარი უჭირავს ორლესულივით,  
მკერდზე აყრია  
არაგველთა  
ჯაჭვ-მუზარადი  
და სიჩუმეში განისვენებს  
კრწანისის ველი, —  
სამასი წლის წინ  
რომ გამოჭრა  
დალატმა ყელი,  
სწორედ ის სისხლი  
ყაყაჩოებს  
ისევ ლვარად სდის...

1982



## სტუდენტობა

წესილის ჭერქევშ,  
მთვარის მაღალ საყვავილეში,  
ყველა იმედი  
გარდიგით დაჭკნა,  
და ახლა მხოლოდ რწმენის ლანდი  
დაეხეტება,  
მოჩვენებითი ლიმილით  
და მხიარულებით...  
ძმავ – სიღარიბევ!  
ო, გაგიმარჯოს,  
ჩვენ ერთხელ კიდევ შეგხვდით ერთმანეთს.

1981



\* \* \*

მე შენში ვცოცხლობ...

და როს დაგტოვებ,

გავყვები ღრუბლებს...

"მოცარტივით მეც მოვირთვები

და წავალ ქარში..."

და პე, ზღვაო,

შენებრ დამსაჯე:

უმაღლეს ძეგლად ულურჯესი

შენი ზვირთები, –

მე მექუთვნის და...

ალმიმართე

დღეში ათასჯერ...

1971



## დილის ნათელი

ამოუკენეავს ცის ბნელ სიღრმიდან

და ვარსკვლავებით

სავსე არის

დამის ჩიჩახვი.

მეტეორებმა მიუვალი გზები გათელეს –

დიდი სინათლის დროშის ფრიალით.

და ჰა, სარკმელთან –

შებუმბლული

დილის ნათელი –

ჩუმად ფრთხიალებს.


1972



## ჰიანდის გელები

ზურგზე პკიდიათ ცა და ქვეყანა,  
დაფუსფუსებენ...  
დაეძებენ,  
ყველგან, ყოველთვის.  
ისინი ფიქრებს პგვანან პოეტის,  
და ამ ფუსფუსში  
წუთისოფელს მიაჭენებენ  
აღვირახსნილი  
ჭიანჭველები.


1968



## ასპილი

ია-იების დღესასწაულზე  
მოვიდა მარტი და დღე ხარება –  
კვირტებით ტოტებგადანასკვილი,  
ჩრდილს და სიმწვანეს მინდვრის ბოლოს  
ძოვენ ხარები  
და... მათ წინ მდგარი ციცქა ასკილი  
ტორეადორივით აფრიალებს წითელ  
მოსასხამს.

1972



## მარაგდა

სძინავს ომის ღმერთს სისხლით გალეშილს...  
ციდან ვარსკვლავთა არ ისმის ზარი,  
თუმცა წარსული ავამდვრიე  
და ავამტვერე,  
და ისევ ისე მტეხავს და ზარავს  
ოთხასი წლის წინ ჩარჩენილი  
ისრის ნამტვრევი.

1979



## მგოსნის დედა

რადგან ღმერთია თვითონ პოეტი,  
ცისიერს  
მზერა ცისკენ გაურბის...  
დღეა მზიანი  
თუ ქარიანი,  
გასცეკერის სივრცეს –  
უკვდავების გამომხმობელი,  
და მგოსნის დედა, ვით მარიამი,  
არის უფალი...  
და ღვთისმშობელი...

1972



\* \* \*

მამის საგლოვად საფლავმა

უცებ მოუშვა

წვერი.

იქვე პატარა ჩიტი კი...

კვლავ უდარდელად მღერის.

1965



## მოხვევი

"წუთია წუთისოფელი"

გუშინწინ იგი გაზაფხულის  
მტირალ ცას მოჰყვა  
და სიყვარულის დადგა ნაპირზე.  
გუშინ დაღლილმა სტუმარივით  
გაიარა ზაფხულის ბაღში  
და გულისყურით მოუსმინა  
ხეების ლოცვას,  
სხივთა კივჭივს  
და მზის გალობას.  
დღეს მეტად უკვირს,  
რომ ასე სწრაფად  
ფოთოლცვენის  
ჩამოდგა უამი...

1967

## ლეიინგრაფის დამე

შუბლშეჭმუხვნილი,  
როგორც უფალი,  
იზირებოდა – სამეფო უფლის  
და ძილი ეგდო დამის თაოქბოან,  
შუაღამისას ცამ გახსნა  
შუბლი –  
გათენდა.

1979



\* \* \*

უსამანო ცის მინდორზე,  
მნათთა ნერგი ისევ ხარობს.  
და ღრუბელი ცრემლით ავსებს,  
მიტოვებულ მთვარის ხაროს.  
ელვა ბინას ბნელში ეძებს –  
შიშველი და  
უსახლკარო.  
შენს მიწაზე მორაკრაკებს  
ზეციური სიბრძნის წყარო.

2016



\* \* \*

მაშრიყის მხრიდან და მაღრიბიდან  
ცით და ხმელეთით  
და ზღვისპირიდან:  
საუკუნეთა მღვრიე ჯარი მოდგა და  
მოდგა,  
მაგრამ ვერასგზით  
ვერ აღგავა  
მიწის პირიდან  
ჩემი ამაყი ჯიქთა ჯიში  
და ჩემი მოდგმა.

1974



## გაზი და ქვევრი

სისხლის და ცრემლის  
გეღგა უღელი,  
სიცოცხლეს შენსას უდვოლდ ლეწდა  
სიკვდილის პევრი,  
რომ ჩამქრალიყო შენი მზე და  
შენი კერია,  
მაგრამ მწედ გყავდა დალოცვილი  
ვაზი და ქვევრი,  
და მტერი მიტომ  
კერ მოგერია.

1977



\* \* \*

ქამი კი არა,

ქამს შემ მბრძანებლობ,

გეძახის გზები...

სიბერავეს არ ხარ ჩვეული,

ჩაუქრობელი ცეცხლი გედება...

ვნახოთ!

ო,

ვნახოთ,

სად მიგვიყვანს

გზა —

არჩეული,

ჩემო მებრძოლო, სულისკვეთებავ!

1969



## მდინარეები შენი ძარღვია

შენს თვალებიდან ამოდიან  
განთიადები,  
რომლებმაც უცებ გამოარღვიეს  
დამის სიბნელე  
და სიშორის  
ფერმკრთალი სივრცე.  
მდინარეები —  
შენი ძარღვია  
და ბობოქარი ზღვა —  
გულად გიცემს.

1967



## სოველში

მიდის სოფელი,  
მიჰყვება გზას ქალაქისაკენ...  
მიდის დაღლილი...  
და ტალახიან შუკებს იხდის,  
როგორც ქალამნებს.  
სიყვარული კი უკან მისდევს  
ერთგულ ძაღლივით.  
უმზერს ქალაქი  
და... ვეღარ ცნობს თავის წინაპარს.

1957



## სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
ცხველი	25
* * * ეფარებოდნენ ხავსიან ლოდებს	26
* * * როცა ჩემი მზეც მიიღოკება	27
* * * ჩემი დღეები და იმედები	28
დეკემბრის დამე	29
მწუხარის ფრინველი	30
ბუდეს ანთებენ	31
სიმორლი	32
უცხონი	33
მარწკინიები	34
ხილვა: აღა-მაჭმაღ-ხანი /1795 წ./	35
ორიგე	36
* * * ეს კოლხური სანახები,	37
დისტიქი ანუ ორი ლექსი გადაკტიონს	38
იმედა	40
* * * ქარის მსუბუქ ფრთებს გადაჰყვება	41
განთიადი	42
რომ არ ჩათვლიმოს	43
* * * შენი სიცოცხლის სანაპიროზე	44
არ გაგახსნებ	45

სიმარტოვე.....	46
* * * აქ, ამ ყურესთან.....	47
ქორწილი.....	48
* * * სიცოცხლე.....	49
და მე მომესმა.....	50
* * * იმედის ქოხში ვზიგარ.....	51
* * * დღეებს ისევ სურთ ჩვენი შეხვედრა	52
* * * თუმცა სიცოცხლე ასე ტკბილია.....	53
თავდავიწყება.....	54
ყარაიასთან.....	55
ციცინათელები.....	56
ჩემი მიზნები.....	57
* * * საუკუნეთა მღვრიე ქარავანს .....	58
ნუ გააღვიძებთ .....	59
ქედები.....	60
* * * შემოდგომაა.....	61
ახალი მოვარე.....	62
* * * ვტეხე საჭრეთელით.....	63
* * * მოდი!	64
* * * ჩაუბლუჯავთ ბილიკები ხელში.....	65
* * * ჩვენი ბავშვობის შუკებს გამოჰყევ..	66
* * * დღეები ბაძავენ წეროებს .....	67
წიგნი “ამაღლება” .....	68

ფოთი .....	69
შენ საქართველოს გადგას უღელი.....	70
უღელამდე ომში გმინავს წარსული.....	71
ტეხურის პირას.....	72
* * * ვით მეგობარი დ ახლობელი .....	73
* * * როცა ქარები .....	74
* * * გათენდა.....	75
ო, ალბათ, მაშინ.....	76
* * * ფაზისის პირას .....	77
მცხეთასთან .....	78
* * * ჭიშკართან დამდგარ ნოემბრის ღამეს	79
აფხაზი .....	80
უგარსკვლავო ღამე.....	81
ჯორდანო ბრუნო .....	82
* * * მესიზმრა: ღამე მიკოცნიდა .....	83
შავი ზღვა .....	84
* * * ღამეა ფიქრში.....	85
ეგვიპტე .....	86
ქოლხო .....	87
* * * პიტალო ქვაა წუთისოფელი .....	88
* * * წარმართებივით უცხო გალობით.....	89
გვლავ .....	90
პომპეის ხიდი.....	91

სამყარო .....	92
კახეთი .....	93
რეგავს ფოლადი .....	94
თოვლი .....	95
* * * ვარსკვლავების ისრებს სტყორცნის .....	96
შორი და ასტრალური .....	97
დები .....	98
* * * კოლხურ ხიდან ნაკეთები .....	99
ცრემლი .....	100
ხილულს არა, უხილავს .....	101
ოსანა .....	102
ხუ და რეა-კიბელა .....	103
ალბათ .....	104
* * * მარადისი ძილით მთვრალებს .....	105
პოეტის სული .....	106
თუთარჩელა .....	107
* * * არსებობ ჯვარზეცმულ მაცხოვრის .....	108
* * * სულ მალე გაიგებს სამყარო .....	109
ხილვა: იოანე ოქროპირი და .....	110
ზამთარი სვანეთში .....	111
* * * მღერი თუ ტირი .....	112
* * * თვალებს გაახელს დრო .....	113

* * * თვით მაცხოვარი ტიტველ-შიშველი	114
მეფე ერეკლე	115
* * * საღლაც იელვა	116
* * * აქ ყველაფერი თავისას ითხოვს,	117
* * * თავდავიწყების ბრუნავს ქაოსი,	118
* * * ცა თავს გვაწონებს ვარსკვლავების	119
სახლობს უფალი	120
* * * ცრემლის წვიმად და	121
* * * თქვენს შესახვედრად	122
* * * ნაოჭებია თუ ფიქრების	
ნაკადულები	123
* * * მოველ	124
* * * შორს...	125
წასულა ყველა	126
* * * ტალღებს აღვიძებს აფრის ტკაცუნი	127
ჟამს მიმწუხრისას	128
დეკემბერი	129
არარატთან	130
გჰა, მამულო!	131

* * * სიცოცხლის ტოტზე ზის და	
გალობს.....	132
აკაცია.....	133
* * * ზაფხულ და ზამთარ ჭამს ჩვენს.....	134
* * * აღმოსავლეთით.....	135
მოხუცის სიბრძნე.....	136
* * * დღე ცეცხლის ხარჯბს .....	137
გთხოვ, მაპატიო.....	138
შენ ასე იტყვი.....	139
მოვა საღამო.....	140
ეჭ, ისტორია .....	141
ფიქრი დედაზე.....	142
წლები, წლები.....	143
* * * ეს მე ვარ, ზღვაო, შენი ხატება.....	144
წიწამურთან .....	145
* * * დასავლეთის ცამ ჭიქა წყალივით ..	146
მთებს გოლიათებს .....	147
ენკენისთვე .....	148
რომანსერო .....	149
წინაპრები .....	150
სვეტიცხოველი .....	151
უმთა სასწორი .....	152
არავი .....	153

* * *	შემოეხიზნენ ნაომარ ველს .....	154
	შენზე ვღაღადებ .....	155
	ჩემი დღეები .....	156
* * *	სახედამწვარი ბედუინივით .....	157
* * *	მწამს მოისხამს დარდის ფოთლებს, .....	158
	მითრიდატე VI ევპატორი .....	159
* * *	მეხთა-ტეხა ცის სარკეს,..... პელტებსა და იბერებს.....	160
	მას აქვს აქილევსის ფარი.....	161
* * *	შიში უდგას თვალებში.....	163
	იყო დიდი მცდელობა.....	164
* * *	დიდი ცოდვებით ქედდადრეკილნი ..	165
* * *	მზე ზღვაში ჩავარდა მწუხრისას ....	166
	ბავშვობისკენ გაფრინდა .....	167
	დრუბლების ჯოგი.....	168
* * *	ქარი ხმაურით როცა ჩაივლის .....	169
* * *	ცაში დრუბლები უცებ განრისხდნენ, .....	170
	ხმები სირინოზების .....	171
	შიშთვილი .....	172
	პრომეთეოსს, ამირანს, გილგამეშს.....	173
	ეამმა ვერ დააბეჭავა .....	174

* * *	სიჩუმეს ახლა აცვია ბნელი,.....	175
	გადნა, როგორც გლებჩერი.....	176
* * *	ქრება.....	177
* * *	ჩემი ზღვაოსან წინაპრებისგან .....	178
* * *	შიშველი და გაბადრული,.....	179
	არც ფშავი ჩანს, არც შატილი .....	180
	სულიწმინდა .....	181
* * *	ისმის ძაღლების ყეფა და.....	182
	ისევ ყულევთან .....	183
	მრავლდებოდა დევთა ჯიში .....	184
* * *	შორს,.....	185
* * *	შენი ფიქრი,.....	186
	კოლხთა წარსულს ფეხს წამოკრავს .....	187
* * *	დღეთა დასალიერთან, ვაჲ! .....	188
	დამე უშგულში.....	189
	ვითარცა კოლხ აქციუს .....	190
* * *	ფეხზე დგომით დაღლილების.....	191
* * *	მიგიძღვდა აგუნა.....	192
* * *	ვით ათონი და აგუბედია.....	193
	დედამიწის სადღეგრძელო .....	194
	საღამო .....	195
	ჯარისკაცის საფლავი .....	196
	ჩემი ბიჭები .....	197

* * *	ხმას ჩაიტენდავს უცებ.....	198
* * *	ზღვა – .....	199
* * *	აღარ განიხვნა ჩემეული ცათა .....	200
* * *	სიბნელის სკამზე შემდგარა დამე..	201
	წარსულის ქარი .....	202
* * *	შაოსან დრუბლებს ეფარება .....	203
* * *	გაზაფხულის მწვანე კართან .....	204
	ბედნიერება .....	205
* * *	დაღუპულ გემის გემბანიდან .....	206
	პემინგუები.....	207
* * *	ცის სამრეკლოდან .....	208
* * *	ქვეყნად .....	209
* * *	პირს შეიმშრალებს ცისარტყელა ქათქათა .....	210
	ჩვენ და ფრთოსნები.....	211
	წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა.....	212
	ძველი გრავიურა.....	213
	თებერვალი .....	214
* * *	მიედინება ყოფნა წუხილად.....	215
	სამშობლო ჩემო .....	216
	ზამთარი .....	217
	დუმს დედამიწა.....	218
	დაჩი .....	219

სანამ დროა.....	220
რემა ზვირთების .....	221
მაჩაბელი .....	222
ვინ იყო იგი .....	223
კრწანისის ველი.....	224
სტუდენტობა.....	225
* * * მე შენში გცოცხლობ.....	226
დილის ნათელი.....	227
ჭიანჭველები .....	228
ასკილი.....	229
მარაბდა .....	230
მგოსნის დედა.....	231
* * * მამის საგლოვად საფლავმა.....	232
მოხუცი .....	233
ლენინგრადის დამე.....	234
* * * უსამანო ცის მინდორზე.....	235
* * * მაშრიყის მხრიდან და მაღრიბიდან	236
ვაზი და ქვევრი .....	237
* * * ეამი კი არა.....	238
მდინარეები შენი ძარღვია .....	239
სოფელში .....	240

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 63

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 63

გამომცემლობის

რედაქტორი

მხატვარი

მხატვრული რედაქტორი

ტექნიკური რედაქტორი

კორექტორი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

— დარეჯან გვალია

— სპართაკ ციცაძე

— ირაკლი უშვერიძე

— ნანა ღუმბაძე

— ნანა გეღაძე

— ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი — ზეიაზ გვალია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოსანის №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com